ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

js[if,fsb7 @^ st,thdfkb7 @)!$ 147 (6358) afcb5 #) stshb

**26 თებერვლიდან!**
**ახალ თაობასთან“ ერთად**
ქართული დეტექტივი
**ქურდები და არიფები** ტომი 5
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




# ადვოკატები ზაზა ხატიაშვილის წინააღმდეგ!



გვ.3

## რას მოუტანს საქართველოს ღარიბაშვილისა და ობამას შეხვედრა

გვ.2



## რუსებმა საქართველოს ტერიტორიაზე მავთულხლართების გავლება განაახლეს

გვ.5

## ოთარ ჩრდილელი: ნაციონალური პოლიტიკური სამარისკენ კატასტროფული სიჩქარით მიექანება“

გვ.5





გვ.7

## თბილისის საკრებულომ საქართველოს ოკუპაციის დღე აღნიშნა

გვ.6



## ნანა კაკაბაძე: საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე ემუქრება!“

## დაიწყებს თუ არა პუტინი მესამე მსოფლიო ომს?!

გვ.4



## მიხეილ სააკაშვილი: ყირიმთან მუშაობაა საჭირო, რათა პუტინის გეგმას ხელი შევუშალოთ“

გვ.3



**18 თებერვლიდან!**
**ახალ თაობასთან“ ერთად**
**საქართველოს ისტორია**
საერო და საეკლესიო
100 რუკის მიხედვით
აფცბ უფპტსსფყ ტპსფლ & კფპბ




ISSN 1987-9385

**6** საზოგადოებამ ნაციონალები სამუდამოდ უნდა მოიცილოს თავიდან!“

**2** საქართველოს პრეზიდენტმა იუნკერების ხსოვნას პატივი მიაგო

**5** მთავრობას საზღვრის მართვის სტრატეგიის პროექტი მინისტრთა კაბინეტის მორიგ სხდომაზე წარედგინება

**3** გიგა ბოკერია: იმედი მაქვს, რომ პრემიერი ღარიბაშვილი ამ შეხვედრისთვის უკეთესად იყო მომზადებული“

# რას მოუტანს საქართველოს ღარიბაშვილისა და ობამას შეხვედრა

ნათია ხურცილავა

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბარაკ ობამას შეხვდა. ეს არის პირველი შეხვედრა ბარაკ ობამასა და პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს შორის. შეხვედრა წინასწარ პროტოკოლით დაგეგმილი არ იყო. თუმცა, თბილისში ამ შეხვედრას არ გამორიცხავდნენ. ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენსა და პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს შორის გამართულ შეხვედრას შეუერთდა პრეზიდენტი ობამა. შეხვედრამ, როგორც ცნობილია, 20 წუთს გასტანა და საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხები იქნა განხილული.

— პრემიერმა ყურადღება გაამახვილა ცხინვალისა და აფხაზეთის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების გავლების პროცესზე და აშშ-ს ამ საკითხზე მკაფიო პოზიციისთვის მადლობა გადაუხადა, — ნათქვამია პრესსამსახურის განცხადებაში.

ექსპერტების განცხადებით, შეხვედრა შეიძლება ერთგვარი გზავნილი იყოს რუსეთის ფედერაციისთვის უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე. მით უფრო, როდესაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა წინ არის.

ღარიბაშვილსა და ბაიდენს შორის შეხვედრა თეთრ სახლში გაიმართა. აუდიენციის ძირითადი თემები ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური პერსპექტივა, ასევე საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმები იყო.

პრესისთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჯოზეფ ბაიდენი საქართველოში მოიწვია. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოსადმი მხარდაჭერის კიდევ ერთხელ დემონსტრირება იქნება და რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების მნიშვნელობას გაუსვამს ხაზს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტთან შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარება, ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანი არ გადაიხედება.

პრემიერის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ობამამ და ბაიდენმა პრემიერ ღარიბაშვილს მიულოცეს საქართველოში პირველი, ისტორიული მოვლენის — ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის წარმატებით დასრულება.

— ასევე მოუწოდეს მას, საქართველოს ყველა ლიდერთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და დემოკრატიული მიღწევების კონსოლიდაცია მოახდინოს, — ნათქვამია განცხადებაში.

ამერიკის სახელმწიფოს მეთაურებმა ასევე მადლობა გადაუხადეს საქართველოს ღირსეული პარტნიორობისთვის.

შეხვედრის დასრულების შემდეგ პრესისთვის განცხადებები გაკეთდა. როგორც შეხვედრაში მონაწილე პირებმა აღნიშნეს, პრეზიდენტმა ობამამ ისაუბრა საქართველოს სერიოზულ კონტრიბუციაზე ნატოს მისიაში ავღანეთში.

ამერიკის პრეზიდენტი აფასებს იმ მსხვერპლს, რომელიც ქართველმა ჯარისკაცებმა და მათმა ოჯახებმა გაიღეს.

— პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა ისაუბრეს ასევე საქართველო—ამერიკის სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. ბარაკ ობამამ და ჯოზეფ ბაიდენმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა.



რომ ამერიკის პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა დაარწმუნეს ქართველი ლიდერი, რომ საქართველოს აქვს ამერიკის სრული მხარდაჭერა ევროატლანტიკური მისწრაფებების რეალიზების გზაზე და რომ საქართველოს მთავრობას ამერიკის ხელისუფლება დახმარებას აღმოუჩენს პოლიტიკური, ეკონომიკური და თავდაცვის რეფორმების განხორციელებისას, — ნათქვამია თეთრი სახლის ოფიციალურ განცხადებაში.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს თანამშრომლობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდება.

— მინდა გითხრათ, რომ შეხვედრა მქონდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ბატონ ბარაკ ობამასთან, ასევე მქონდა შეხვედრა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტთან ჯო ბაიდენთან. ჩვენ განვიხილეთ ურთიერთთანამშრომლობის საკითხები. მე მივიღე სრული მხარდაჭერა, ჩვენმა მთავრობამ მიიღო სრული მხარდაჭერა ამერიკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის სახელით. მათ დაგვიდასტურეს, რომ აშშ მხარს უჭერს საქართველოს. მე ასევე მივიღე დადასტურება და მზადყოფნა იმისათვის, რომ გაღრმავდეს ჩვენ ქვეყნებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები. მთლიანობაში ეს იყო ძალიან პოზიტიური, ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა და მე მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენთვის არის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა და ჩვენ მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ ამ ურთიერთობის გაღრმავებას და განმტკიცებას და ამერიკასთან ურთიერთობების სფეროში რეალურად, ახალ ეტაპზე გადავდივართ, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ღარიბაშვილსა და ბაიდენს შორის შეხვედრა თეთრ სახლში გაიმართა. აუდიენციის ძირითადი თემები აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური პერსპექტივა, ასევე საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმები იყო.

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ამერიკის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტთან გამართული საქმიანი შეხვედრა შეაფასა და აუდიენციის ფარგლებში განხილულ საკითხებზე ისაუბრა.

ფანჯიკიძის თქმით, ამერიკული მხარე მიესალმა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების კუთხით საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ კონსტრუქციულ ნაბიჯებს.

ფანჯიკიძის განცხადებით, საქართველოს დელეგაციამ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი რანგის პოლიტიკოსებს საოკუპაციო ხაზთან არსებული ვითარება გააცნო და მავთულხლართების გაბმის პროცესის განახლების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

— ჩვენ მათ ვუამბეთ იმის თაობაზე, თუ როგორ ვითარდება ეს ურთიერთობები და მიუხედავად იმისა, რომ ეს კონსტრუქციული ნაბიჯები გადადგმულია და რუსეთის მხრიდანაც ზოგიერთი ტექნიკური საკითხის განხორციელებაში არის ხელშეწყობა და პროგრესი, დღეს, დღევანდელი ინფორმაციით, ისევ გაგრძელდა მავთულხლართების დამონტაჟება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, რის თაობაზეც ჩვენ, რასაკვირველია, ამერიკულ მხარეს მივაწოდეთ ინფორმაცია ისევე, როგორც იმ 11-მეტრიანი უსაფრთხოების ზოლის შესახებ, რომელიც ვითომდა სოჭის ოლიმპიადის წინ შეიქმნა და რომლის გაუქმებასაც რუსეთი გვპირდება ოლიმპიადის შემდეგ. თუმცა დღეს განვითარებულმა მოვლენებმა, მავთულხლართების გაბმის ისევ დაწყებამ, რასაკვირველია, ეჭვი შეგვატანინა იმაში, რომ ეს პროცესი ოლიმპიადის შემდეგ დასრულდება, ვგულისხმობ მარტის შუა რიცხვების შემდგომ პერიოდს, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის განმარტებით, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თეთრ სახლში ვიზიტით მყოფ საქართველოს დელეგაციას მომავალშიც ასეთივე კონსტრუქციულობისკენ მოუწოდა, რადგანაც აღნიშნული ამერიკასაც უიოლებს რუსეთთან ურთიერთობას, როდესაც საქმე ეხება საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა საქართველოს მიერ გადადგმულ კონსტრუქციულ ნაბიჯებს რუსეთთან მიმართებაში და ქვეყნის ევროინტეგრაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

— ამერიკის პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა საქართველოს მიერ შეტანილი წვლილისათვის ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა იმას, რამხელა მნიშვნელობა აქვს საქართველოს მიერ გადადგმულ კონსტრუქციულ ნაბიჯებს რუსეთთან მიმართებაში. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია უნდა იყოს შეუქცევადი პროცესი, რაც პრემიერმა მას, რასაკვირველია, დაუდასტურა და მან აღგვითქვა ასევე ამ მიმართულებით სრული მხარდაჭერა, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელზეც მხარეებმა გაამახვილეს ყურადღება. შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა, ქვეყნებს შორის სათანადო ეკონომიკური თანამშრომლობა არ არის.

— არ არის ისეთი ეკონომიკური თანამშრომლობა, როგორიც ეკადრება ჩვენ პოლიტიკურ ურთიერთობებს და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს აღუთქვა ამ მიმართულებითაც დახმარება, რომ გატარდება სპეციალური ღონისძიებები იმისათვის, რათა ეკონომიკაშიც ამერიკის და საქართველოს ურთიერთობა ინტენსიური იყოს, — აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

თეთრ სახლში გამართულ შეხვედრებს თბილისში გამოხმაურება მოჰყვა.

ვიცე-პრემიერმა, კახა კალაძემ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის აშშ-ის პრეზიდენტთან შეხვედრა შეაფასა.

— მივიღეთ სრული მხარდაჭერა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ის პროცესები გავიაროთ და ის რეფორმები განვახორციელოთ, რომელიც საქართველოს ევროინტეგრაციას დააჩქარებს. ეს ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია. ასევე, ობამამ საქართველოს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა. ამასთან, მას კონსტრუქციულობა რუსეთთან ურთიერთობაში და ის, რომ ჩვენ დიალოგის რეჟიმში გადავედით, ძალიან მოეწონა. ვფიქრობ, ეს ვიზიტი ერთ-ერთი მაღალი დონისაა და ჩვენი მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართველი ხალხის არჩევანი დ ევროპასთან ინტეგრაცია უახლოეს მომავალში განვახორციელოთ, — განაცხადა კალაძემ.

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ღარიბაშვილისა და ობამას შეხვედრას იმედის მომცემსა და მნიშვნელოვანს უწოდებს.

— ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ძალიან გვიხარია, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა შეუერთდა შეხვედრას საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და საქართველოს დელეგაციასთან. ეს არის ხაზგასმა იმისა, რომ ურთულეს ვითარებაში, რომელიც რეგიონშია, აშშ მტკიცედ და ნათლად გამოხატავს თავის მხარდაჭერას ჩვენი დემოკრატიისა, ჩვენი სუვერენიტეტისა და ჩვენი დამოუკიდებლობის მიმართ. ეს არის დიდი იმედის მომცემი და ამავე დროს, ჩვენთვის მნიშვნელოვანი შეხვედრა, — განაცხადა მარგველაშვილმა.

## საქართველოს პრეზიდენტმა იუნკერების ხსოვნას პატივი მიაგო

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ 1921 წლის თებერვალში კოჯრის მახლობლად გმირულად დაღუპული იუნკერების ხსოვნას პატივი მიაგო და მათი მემორიალი გვირგვინით შეამკო.

„ჩვენ დღეს აქ მოვედით, რათა კიდევ ერთხელ მწუხარებით და, ამავდროულად, სიამაყით აღვნიშნოთ ის, თუ როგორ იბრძოდა ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობისთვის. საქართველოს ისტორიაში ცოტა თუ არის ცნობილი ისეთი ომი, სადაც ქართველი ჯარისკაცების რაოდენობა მტერზე მეტი იყო ან მას უტოლდებოდა. საკუთარი სამშობლოს დაცვას ყოველთვის მცირერიცხოვანი გმირი ადამიანების ბრძოლის შედეგად ვახერხებდით. ბუნებრივია, მათ მაგალითზე გვეძლევა მხნეობაც და უნარიც მუდმივად დავიცვათ ჩვენი პატარა ქვეყანა ძლიერი იმპერიებისა და აგრესორებისგან, რომლებიც, ისტორიულად, მუდმივად გვიტევნდენ, მაგრამ ვერასდროს გაგვტეხეს“ — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ქვეყნის პირველ პირთან ერთად იუნკერების ხსოვნას პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინე იმერლიშვილმა და გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ.

1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის წითელმა არმიამ თბილისი აიღო და საქართველოს საყოველთაო და თავისუფალი არჩევნების გზით არჩეული ხელისუფლება დაამხო, რის შედეგადაც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის — ანექსია განახორციელა. შედეგად ქვეყანაში დამყარებულმა კომუნისტურმა საოკუპაციო რეჟიმმა პოლიტიკური ნიშნით სიცოცხლეს საქართველოს ასეულ ათასობით მოქალაქე გამოასალმა.

საქართველოს პარლამენტის 2010 წლის 21 ივლისის დადგენილებით, ყოველი წლის 25 თებერვალი გამოცხადებულია საბჭოთა ოკუპაციის დღედ და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო დროშები ეშვება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ადვოკატები ზაზა ხატიაშვილის წინააღმდეგ!

შორენა გონგლაძე

**ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილის მხარდაჭერა გიორგი ონიანის მიმართ სკანდალის მიზეზი გახდა. პროცესების განვითარებით იოლი გასაგები ხდება, რომ ხატიაშვილის თავზე შავი ღრუბელი იყრის თავს. ზაზა ხატიაშვილი წინა ხელისუფლებისა და მანამდე პერიოდში თავისი მკვეთრი განცხადებებითა და ხელისუფლების კრიტიკით ყოველთვის გამოირჩეოდა, რამაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გააჩინა ეჭვები, რომ ხატიაშვილის კრიტიკის მიღმა ნაციონალებისადმი ფარული სიმპათიები იმალებოდა, დღეს კი მავანი ფიქრობს, რომ მათი ეჭვები გამართლდა. თუმცა, რაც შეეხება ამ კონკრეტულ ფაქტს, ხატიაშვილის სასარგებლოდ ისიც უნდა ითქვას, რომ ადვოკატის უფლებების დაცვა, რაც არ უნდა დამნაშავე იყოს იგი, ხატიაშვილის პირდაპირი ვალდებულებაა, ისევე, როგორც ადვოკატის ვალდებულებაა, დამნაშავე დაიცვას, მისი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად.**

მოკლედ, ფაქტია, რომ გოგა ონიანის დაკავების ამბავი ხატიაშვილის სკანდალმა აშკარად დაჩრდილა. ხატიაშვილს მგზნებარე ოცნებისტებმა მგზნებარე ნაციონალის მხარდაჭერა არ აპატიეს. თუმცა ამ „წმინდან“ ადვოკატებს არც იმისი შეხსენება აწყენთ, რომ, როდესაც ისინი ან მისი კოლეგები საკუთარი პროფესიის წყალობით განსასჯელის სკამზე ისხდნენ, ხატიაშვილი ანალოგიური შემართებით იცავდა მათ უფლებებს ქვეყანაშიც და ქვეყნის გარეთაც. ასე რომ, უმჯობესია, ტალახი წმინდანებმა ისროლონ და არა ნაპროკურალებმა და ნასამართლევებმა.

ყველაფრის მიუხედავად, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ადვოკატების ნაწილი ემიჯნება. ამის შესახებ განცხადება არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელმა ზურაბ ქადაგიძემ გააკეთა. ქადაგიძე ვარაუდობს, რომ ხატიაშვილს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ ყოფილ თანამდებობის პირებთან აქვს ურთიერთობა.

– არის მოსაზრება, რომ ზაზა ხატიაშვილს აქვს ურთიერთობა ყოფილ მაღალჩინოსნებთან. ეს შეიძლება იყოს ყოფილი იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილიც. გამომდინარე იქიდან, რომ არაფრისგან შეიქმნა პრეცედენტი, ზაზა ხატიაშვილი გამოდის და პირდაპირ ხელს ადებს ხელისუფლებას, რომ ისინი ადვოკატებს არბევენ. ჩვენ არ ვიცით, მათ რა ბერკეტი აქვთ ზაზა ხატიაშვილის წინააღმდეგ, ამას რომ ათქმევინებენ, თუმცა ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობთ, – განაცხადა ქადაგიძემ. იგი ადვოკატებზე ირიბი ზეწოლის შესახებ საუბრობს.

– არის ირიბი ზეწოლები, რომ შეიძლება დაგირეკოს მეგობარმა, მეზობელმა და გითხრას, რომ არ დაუპირისპირდეთ ზაზას, არ გინდათ. 300-400-მდე ადვოკატი რეკავს და ამბობს, რომ უკვე იწყება ზეწოლა. დღეში 10 -15 ზარი მაინც ხორციელდება ადვოკატის ტელეფონზე და ეუბნებიან – როგორ შეიძლება ზაზა ხატიაშვილის წინააღმდეგ წასვლა? ეს უკვე არის პოლიტიკური ზეწოლა.



– ჩვენ მივმართავთ ადვოკატებს, რომ გაემიჯნონ ამ პიროვნებას, იმიტომ რომ ეს პიროვნება „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე ასხამს წყალს და უწყობს ხელს, რომ მათ შექმნან პოლიტიკური სარჩული, რომ თითქოს გოგა ონიანი არის პოლიტდევნილი. ჩვენ ყველანაირად მხარს დავუჭერთ ადვოკატებს ნებისმიერ პროცედურაში – ეს იქნება ქუჩის აქცია თუ იურიდიული პროცედურა, – განაცხადა ზურაბ ქადაგიძემ. ქადაგიძის განცხადებით, ადვოკატების სახელებს და გვარებს ამ ეტაპზე ვერ დაასახელებს. ამას მხოლოდ მას შემდეგ გაასაჯაროებს, როცა თავად ეს ადვოკატები გაერთიანდებიან ერთი პოზიციის ირგვლივ.

გამოთქმულ ბრალდებებს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა პრესკონფერენციით უპასუხა. ხატიაშვილი აცხადებს, რომ მას დღევანდელი ხელისუფლება ებრძვის.

რაც შეეხება მის წინააღმდეგ გამოთქმულ იმ ბრალდებებს, თითქოს ხატიაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან მართულია, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე მას სასაცილოსა და აბსურდულს უწოდებს და აღნიშნავს, რომ იგი სააკაშვილის რეჟიმს გააფთრებით ებრძოდა. ამასთან, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძის იმ ბრალდებასაც გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, ხატიაშვილმა რუსეთის პრეზიდენტ პუტინს ფინანსური დახმარების თხოვნით წერილი გაუგზავნა.

– ეს იმდენად მართვადი პროცესებია, რომ კომენტარის გაკეთებაც კი მიჭირს. მე ხუთი წელია, პრინციპულად არ მივდივარ რუსეთში, მაშინ როცა ჩემ გარდა ყველა იყო. როცა მავთულხლართების გაბმისას დვანში ჩავედი, 15 ადვოკატი ძლივს მოვგროვდით, არავინ გამომყვა. იქ გავიცანი უკეთ გოგა ონიანი. ონიანის დაკავება უკანონოდ მოხდა და მე უნამუსო ადამიანი ვიქნებოდი, ეს რომ არ დამენახა, – განაცხადა ხატიაშვილმა.

ხატიაშვილის თქმით, ის არის არჩევითი პირი, რომელიც ხელისუფლების ფეოდალურ გადაწყვეტილებებს უპირისპირდება, რომელთა შორის, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის გადადებასთან დაკავშირებით მის მიერ გამოთქმული პროტესტი დაასახელა. ამასთან, მისივე თქმით, არჩევნების მოახლოვებისთანავე ხელისუფლებას რატომღაც ჰგონია, რომ ზაზა ხატიაშვილი კენჭისყრას აპირებს და მის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლას იწყებს, თუმცა ხატიაშვილმა აქვე დასძინა, რომ არც არჩევნებში მონაწილეობას და არც პოლიტიკაში ჩართვას არ გეგმავს.

გარდა ამისა, ხატიაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ გოგა ონიანის დაკავების ფორმა უკანონო იყო.

– არსებობს გაეროს 1990 წლის დადგენილება, რომელსაც ადვოკატის დაცვის კონვენციასაც ეძახიან, მასში მითითებულია, რომ არ შეიძლება ადვოკატის გაიგივება თავის კლიენტთან. ეს, ფაქტობრივად, კანიბალიზმია, რომ ადვოკატი შეიძლება გააიგივო მის კლიენტთან. გოგა ონიანის გაიგივება მის დაცვის ქვეშ მყოფთან და ვინც ამას აკეთებს, მან ელემენტარულ დონეზე არ იცის სამართლებრივი მდგომარეობა ასეთ საქმეებთან მიმართებით. იმავე კონვენციის თანახმად, ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს თავისი პრაქტიკა შიშისა და ზეწოლის ფონზე. სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, რომ ხელი შეუწყოს ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და სწორედ ამას ვითხოვ მეც, – განაცხადა ხატიაშვილმა.

ხატიაშვილი ამტკიცებს, რომ გოგა ონიანის დაკავებას პოლიტიკური სარჩული უდევს. ხატიაშვილი იხსენებს, რომ გოგა ონიანმა დაკავებამდე რამდენიმე ხნით ადრე დახმარებისთვის მიმართა.

– გოგა ონიანმა 19 თებერვალს დამირეკა და მითხრა, რომ პროკურატურაში იბარებდნენ პოლიციის თანამშრომლებს და აიძულებდნენ, ჩვენება მიეცათ მის წინააღმდეგ. მე და გიორგი ონიანი შევთანხმდით, რომ ორშაბათს, 24 თებერვალს, ჩავატარებდით პრესკონფერენციას აღნიშნულის თაობაზე, მაგრამ ის 23 თებერვალს დააკავეს, რაც საეჭვოდ უკავშირდება პრესკონფერენციის ჩატარების წინა დღეს, იბადება ბევრი კითხვა. ადვოკატმა გიორგი ონიანმა რამდენჯერმე მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას მის მიმართ განხორციელებული ძალადობის თაობაზე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მივმართე „ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საზოგადოებების საბჭოს“ პრეზიდენტ ლადო ბულგარელს და ვთხოვე, დაგვხმარებოდა ადვოკატ გიორგი ონიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. „ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საზოგადოებების საბჭოს“ პრეზიდენტმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი, მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს და ადვოკატ გიორგი ონიანთან მიმართებით ძალადობის ფაქტების აღკვეთა მოითხოვა. ვთვლი, რომ ადვოკატ გიორგი ონიანის დაკავება მოხდა პოლიტიკური მოტივებით, რომელიც მიზნად ისახავს საადვოკატო საქმიანობიდან მის ჩამოცილებას და ადვოკატის ინსტიტუტის დაშინებას, რათა ადვოკატებმა ვერ შეძლონ დაცვის უფლების განხორციელება შიშის გარეშე. საქართველოს ხელისუფლება მიისწრაფვის, საქართველოში ავტოკრატიული მმართველობა შექმნას, რაც აღმაშფოთებელია. ადვოკატების დაკავება, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, მხოლოდ ავტორიტარულ სახელმწიფოებში ხდება. სამი კვირის წინ, გოგა ონიანი დაიბარეს და მოწმის სახით დაკითხეს, რათა იგი ჩამოეცილებინათ მის წარმოებაში არსებულ ბაჩანა ახალაიას დაცვის საქმეს, მაგრამ ვინაიდან ადვოკატმა გიორგი ონიანმა თავისი საადვოკატო საქმიანობა ძველი შემართებით გააგრძელა, ადვოკატი დააკავეს. ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიამ“ საგამოძიებო ორგანოებში ქართველ ადვოკატთა დაბარებები და დაკითხვები იმ საქმეებზე, რასაც ისინი აწარმოებენ, როგორც ადვოკატები, შეაფასა, როგორც ადვოკატთა დევნა. იმ არაკვალიფიციური პროკურორების გასაგონად, რომლებმაც არ იციან საერთაშორისო სტანდარტები ადვოკატებთან მიმართებით, განვმარტავ, რომ ადვოკატის მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან გაიგივება ან დაკითხვა საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელების დროს საადვოკატო საქმიანობაში ხელის შეშლას წარმოადგენს. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადვოკატებმა შეძლონ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება, დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე, როდესაც ადვოკატთა უსაფრთხოებას, მათ მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების გამო საფრთხე ემუქრება, ისინი სათანადოდ უნდა იყვნენ დაცული ხელისუფლების მიერ, – აცხადებს ხატიაშვილი.

რაც შეეხება გოგა ონიანის ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებას, ზაზა ხატიაშვილი ამის შესახებ განმარტებას ერთ-ერთ გაზეთთან აკეთებს და აღნიშნავს, რომ გოგა ონიანმა სასამართლოს გზით მოიპოვა ამის უფლება.

– გოგა ონიანმა ჩვენ სასამართლოში გვიჩივლა და ისე მივიღეთ, მანამდე არ ვიღებდით. თუ ადამიანს გამოცდა აქვს ჩაბარებული და ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, ჩვენ არ გვაქვს უფლება, უარი ვუთხრათ. ონიანს და კიდევ რამდენიმე პიროვნებას გამოცდის ჩაბარებიდან გასული ჰქონდათ 7-თვიანი ვადა და ამიტომ არ ვიღებდით. სასამართლოში იჩივლეს, მოიგეს და რა უნდა გვექნა? მე ვთვლი, რომ მას უკანონოდ მოექცნენ. უკანონოდ დააკავეს, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

ამასთან ერთად, ადვოკატ დავით დეკანოიძის ინფორმაციით, ცნობილი ხდება, რომ გოგა ონიანმა შიმშილობა დაიწყო. გავრცელებული ცნობით, ერთი მუხლი, რომელიც სამსახურებრივ სიყალბეს ეხებოდა, ონიანს მოეხსნა. ბრალდებული მოდულის შენობაში უკვე მოინახულეს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა.

შეგახსენებთ, გოგა ონიანი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით 23 თებერვალს დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, პოლიციის ყოფილმა მაღალჩინოსანმა გოგა ონიანმა 2011 წელს კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საქმიანობისათვის ხელის შეშლის, ასევე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა დაშინების მიზნით „დაო-პრინტის“ მენეჯერი დავით შათირიშვილი, რომლის კომპანიაც „ქართული ოცნების“ ლოგოიან მაისურებს ამზადებდა, „უკანონოდ დააკავა“ იმ საფუძვლით, რომ თითქოსდა შათირიშვილი ნარკოტიკულ საშუალებას ინახავდა. ონიანმა საქმის გამომძიებელს წარუდგინა ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა და დაავალა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში აესახა ამ ნარკოტიკული საშუალების დავით შათირიშვილის პირადი ჩხრეკისას ამოღების ფაქტი, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია, – აცხადებს პროკურატურა და იქვე აღნიშნავს, რომ ამ საბრალდებო დასკვნით შათირიშვილის საქმე არსებითად განსახილველად სასამართლოში წარიმართა.

## მიხეილ სააკაშვილი: ყირიმთან მუშაობაა საჭირო, რათა პუტინის გეგმას ხელი შეეშალოს“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ახალ ხელისუფლებას, ყირიმში არსებული სიტუაციისთვის ყურადღების მიქცევას ურჩევს.

ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის ვიდეო მიმართვაშია აღნიშნული.



სააკაშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმიტ პუტინი ყირიმში ,,რაღაცას მოიმოქმედებს“.

,,ცუდი ამბავი იმაში მდგომარეობს, რომ პუტინი, რა თქმა უნდა, იქ რაღაცას მოიმოქმედებს. კარგი ამბავი იმაშია, რომ თქვენ უკვე იცით, რას გააკეთებს ის. იმიტომ რომ მან უკვე ყველაფერი გამოსცადა ჩვენთან სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში. ის გასცემს პასპორტებს, მას მოუნდება პროვოკაციების მოწყობა, მას მოუნდება თავისი ფლოტის გამოყენება იმისათვის, რომ გადაკეტოს ის, რაც ყირიმს დანარჩენს უკრაინასთან აკავშირებს და იქ კორიდორი დაამყაროს“– აცხადებს სააკაშვილი.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში თუ ყირიმის მოსახლეობას აუხსნიან, რომ მათ არაფერი ემუქრებათ და ეს მხოლოდ რუსული პროპაგანდაა, ისინი გაიგებენ, უბრალოდ ახლა უკრაინაში სასწრაფოდ მთავრობის ფორმირება და ამ საკითხით დაკავებაა საჭირო.

**მედიანიუსი**

## გიორგი ონიანი შიმშილობას იწყებს

თბილისის შს მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე, ადვოკატი გიორგი ონიანი შიმშილობას იწყებს. ამის შესახებ ონიანის ადვოკატმა დავით დეკანოიძემ, მისი დაცვის ქვეშ მყოფთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ონიანს გამოძიება უფლებამოსილების გადამეტებას, უკანონო დაკავებას და მტკიცებულებების ფალსიფიკაციას ედავება.

გიორგი ონიანი 23 თებერვალს საკუთარ სახლში დააკავეს. პროკურატურის ინფორმაციით, საქმე 2011 წელს კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საქმიანობისთვის ხელის შეშლის, ასევე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა დაშინების მიზნით, შპს „დაო-პრინტის“ მენეჯერის დავით შათირიშვილის დაკავებას ეხება. შპს „დაო-პრინტი“ იმ დროისთვის პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ლოგოიან მაისურებს ამზადებდა.

**ნიუსპრესი**

## გიგა ბოკერია: იმედი მაქვს, რომ პრემიერი ღარიბაშვილი ამ შეხვედრისთვის უკეთესად იყო მომზადებული“



ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, გიგა ბოკერიას იმედი აქვს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აშშ-ის პრეზიდენტთან ბარაკ ობამასთან შეხვედრისთვის უკეთესად იყო მომზადებული, ვიდრე მიუნხენის კონფერენციისთვის.

,,ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ ძალიან მადლიერები ვართ პრეზიდენტ ობამასი, რომ ასეთ მომენტში, როდესაც რუსეთის ფედერაცია კვლავ წევს საოკუპაციო ხაზს ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში, უკრაინის მოვლენების ფონზე კიდევ ერთხელ მკაფიოდ დააფიქსირა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის, თავისუფალი არჩევანის მიმართ. იმედი მაქვს, რომ პრემიერი ღარიბაშვილი უკეთესად იყო მომზადებული ამ შეხვედრისთვის, ვიდრე მიუნხენის კონფერენციაზე. ჩვენ გვაინტერესებს კონკრეტიკა მისგან, რა საკითხები დასვა მან. ეს არის მნიშვნელოვანი და იმედი მაქვს, რომ უფრო მეტს მოვისმენთ,“– აცხადებს გიგა ბოკერია.

**მედიანიუსი**

2014, 26 თებერვალი, №47

# დაიწყებს თუ არა პუტინი მესამე მსოფლიო ომს?!

თამარ ნინიძე

უკრაინა ახალი რეალობის წინაშეა. რევოლუცია, რომელსაც ხავერდოვანს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, თითქოს დასასრულს უახლოვდება, კიევი შეძლებისდაგვარად ცდილობს, დამშვიდდეს, მაშინ როცა უკრაინის დედაქალაქში ვნებები ცხრება და ყველა მოახლოებული არჩევნების შესახებ მსჯელობს, უკრაინის რეგიონებში სეპარატისტული ქმედებები აქტიურდება. განსაკუთრებით ეს ყირიმის ნახევარკუნძულს ეხება, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსულენოვანია და ამდენად მტკიცე დასაყრდენი კრემლისთვის.

ახლა საერთაშორისო ანალიტიკოსები და ქართველი ექსპერტებიც მსჯელობენ იმაზე, დაიწყება თუ არა კრემლის წაქეზებით ყირიმში რუსულენოვანი მოსახლეობის პერმანენტული აქციები უკრაინისგან გამოყოფის მოთხოვნით, პრინციპში, ეს აქციები უკვე დაწყებულია, რუსეთის ხელისუფლება კი დასავლეთს მიმართავს, რომ უკრაინაში „საეჭვო ვითარებაში“ ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოხდა და დასავლეთი არ უნდა ენდოს „ახალ ხელისუფლებას“. პუტინი იანუკოვიჩს ჯერ კიდევ ლეგიტიმურ ხელისუფლად თვლის და, სავარაუდოდ, ამ პათოსით გააგრძელებს, მაგრამ მოუწევს ახალ რეალობასთან შეგუება. დასავლეთი თანდათან შეეჩვია იმას, რომ უკრაინაში რევოლუცია მოხდა და ეს მხოლოდ და მხოლოდ უკრაინელი პატრიოტების თავგანწირული ბრძოლის შედეგი იყო.

ზოგიერთი ანალიტიკოსი შიშობს, რომ სევასტოპოლში რუსული სამხედრო ფლოტის დისლოკაციის გამო რუსეთი მძაფრ წინააღმდეგობას გაუწევს უკრაინის ახალ ხელისუფლებას, სავარაუდოდ, გაძლიერდება რუსული მოსახლეობის დაცვის მოთხოვნით აქციები და, როგორც ჩვენთვის არ არის უცხო, ასევე უკრაინელებისთვი-



საც არ იქნება უცხო მოწოდებები, რომ „რუსეთის ფედერაციის ვალია, დაიცვას სხვა ქვეყანაში საკუთარი მოქალაქეების უფლებები“. ამ საფარქვეშ კრემლი გაბედავს თუ არა სამხედრო ინტერვენციას უკრაინაში, ანალიტიკოსები სწორედ ახლა ამ თემაზე გაცხოველებით მსჯელობენ.

სანამ ანალიტიკოსები და პოლიტოლოგები ტვინს იჭყლეტენ, თუ რა ზომებს მიმართავს კრემლი და დაიწყებს თუ არა რევანშისტულ მოძრაობებს, საინტერესო სტატია გავრცელდა სოციალურ ქსელში, რომლის ავტორი ერთ-ერთი რუსი ჟურნალისტია. სტატიის სათაურია: „რატომ ვერ შეიყვანს პუტინი უკრაინაში ჯარებს?“ ქვესათაურით კი ჟურნალისტი პუტინს ეკითხება – „სად არის შავ ზღვაში ამერიკული ხომალდები?“

რუსმა ჟურნალისტმა გამოაქვეყნა საინტერესო დოკუმენტი, რომლითაც ის ასკვნის, რომ უკრაინა ლამის ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელიც ფლობს ხელშეუხებლობის სტატუსს. საქმე ის არის, რომ 1994 წლის 5 დეკემბერს ხელი მოეწერა საერთაშორისო შეთანხმებას, მემორანდუმს ოთხი ქვეყნის ლიდერების მიერ. ეს არის შეთანხმება, რომ უკრაინა უარს ამბობს ბირთვულ იარაღზე და უერთდება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, სანაცვლოდ კი იღებს მყარ გარანტიას, რომ მისი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ იქნება სრულად დაცული. ეს სახელმწიფოები გახლავთ რუსეთი, მისი სახელით დოკუმენტს ხელს აწერს ელცინი, აშშ, მისი სახელით ხელს აწერს კლინტონი, დიდი ბრიტანეთი, მისი სახელით ხელს აწერს მეიჯორი და უკრაინა, მისი სახელით ხელს აწერს კუჩმა.

დოკუმენტის პირველივე პუნქტში მითითებულია, რომ ხელმომწერი სახელმწიფოები პატივს სცემენ უკრაინის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და საზღვრების ხელშეუხებლობას. იმ შემთხვევაში კი, თუ უკრაინა გახდება აგრესიის მსხვერპლი რომელიმე სახელმწიფოს მხრიდან ან გახდება ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარის მსხვერპლი, მას დაიცავს გაერო, როგორც არაბირთვულ სახელმწიფოს.

რუსი ჟურნალისტის აზრით, პუტინი ვერ შეიყვანს ჯარს ყირიმში, დონბასსა და საერთოდ აღმოსავლეთ უკრაინაში, რადგან რუსეთი ერთ-ერთი ხელმომწერი გარანტორი სახელმწიფოა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მხრივ. ის კი არა, რუსეთი უკრაინის დაშლის ავტორი კი არა, არამედ ვალდებულია, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა უზრუნველყოს ამ დოკუმენტის მიხედვით, ხოლო თუ პუტინი დაივიწყებს ამ მემორანდუმს, მას ამის შესახებ მყისვე შეახსენებენ აშშ და დიდი ბრიტანეთი.

ამ წლის 3 თებერვალს მოსკოვმა გაავრცელა მეტად საგულისხმო ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ამერიკული ხომალდი, რომლის ბორტზეც ფრთიანი რაკეტებია განლაგებული და ამერიკის მეექვსე ფლოტის ფლაგმანური გემი „მაუნტ უიტნი“ შევიდნენ შავ ზღვაში, ამის შესახებ რუსეთის სამხედრო-დიპლომატიური წყაროებიდან გახდა ცნობილი. ინფორმატორის განცხადებით, ამერიკულმა გემებმა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები თურქეთთან შეთანხმებით გადაკვეთეს, ამ ხომალდების ბორტზე განლაგებულია 600 საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი.

ჟურნალისტი სვამს კითხვას – ვინმეს ნუთუ ჰგონია, რომ ეს ხომალდები მხოლოდ სოჭის ოლიმპიადის ეგიდით ამერიკის მოქალაქეების დასაცავად არიან შავ ზღვაში? სინამდვილეში მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს უკრაინაში მოსალოდნელი სეპარატისტული ხასიათის ლოკალური კონფლიქტების აღკვეთა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. აქვე ჟურნალისტი კითხულობს და თუ მაინც პუტინმა დაივიწყა ამ ხელშეკრულების ვალდებულებები და ოფიციალურად შეიყვანა უკრაინის ტერიტორიაზე თუნდაც ერთი საჯარისო კოლონა, ამით ის ომს გამოუცხადებს აშშ-ს, დიდი ბრიტანეთსა და მთლიანად ნატოს, არის კი მზად დღეს პუტინი, ჰქონდეს საიმისო ძალები და სახსრები, რომ დაუპირისპირდეს ნატოს?

სურს პუტინს ყირიმის გამო მესამე მსოფლიო ომი? ამას ვერც ისეთი არგუმენტი უშველის, როგორიც არის, მაგალითად, „იძულება მშვიდობისთვის“. ერთადერთი, რაც მას შეუძლია ამ შემთხვევაში, ეს არის ფარული მოქმედებები, მაგალითად, გადაცმული სპეცრაზმელების შეყვანა უკრაინის ტერიტორიაზე და იქ სამოქალაქო ომის ინსპირირების მცდელობა. ასეთ შემთხვევაში პუტინს ემუქრება საერთაშორისო სანქციები, სირიაში რუსეთის უტიფარმა აქტიურობამ დასავლეთს უკვე შეუქმნა სერიოზული პრობლემები, და უკრაინა გახდება მისთვის ახალი თავსატეხი? პუტინსა და მის გუნდს კრემლში, სავარაუდოდ, კარგად ესმით, რომ დასავლეთში ფინანსური რესურსები და წყაროები არა მარტო მედვედევისა და პუტინისაა, არამედ, რუსეთის ოლიგარქებისაც.

იანუკოვიჩი მოულოდნელად რომ დასხმოდა თავს რუსეთს ნებისმიერი საბაბით, მაშინ ამ მემორანდუმის საფუძველზე რუსეთი „თავდაცვის მიზნით“ დაიწყებდა უკრაინის სამხედრო ინტერვენციას. იანუკოვიჩმა ეს არ გააკეთა და ამით პუტინს თეორიულადაც გზა მოუჭრა უკრაინაში ჯარების შეყვანის ყველა შესაძლებლობის თვალსაზრისით.

ახლა კი რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უკრაინის ახალი ხელისუფალნი მათი არჩევის შემდეგ, ბუნებრივია (მათი ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არ დადგება პროგრესული მსოფლიოს მიერ), სეპარატიზმის გაღვივების ნებისმიერი მცდელობის შემთხვევაში რუსეთის ფედერაციას არ მიმართავენ რუსი მშვიდობისმყოფელების შესაყვანად, არამედ ამისთვის დახმარებას სთხოვენ აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, ნატოსა და გაეროს ძალებს.

ყირიმის გამოყოფის შესაძლებლობა რომც დავუშვათ, მას იგივე ბედი ეწევა, რაც სხვა სეპარატისტულ რეჟიმებს, მაგალითად, დნესტრისპირეთში, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში. მათი ლეგიტიმურობა და აღიარება მუდმივად იქნება მსოფლიო თანამეგობრობის მიერ კითხვის ნიშნის ქვეშ. რუსი ჟურნალისტი ურჩევს თანამემამულეებს, ან გაექცნენ მარაზმამდე მისულ ნაცლიდერს (ამ შემთხვევაში საუბარი პუტინზეა), ან გადაარჩინონ საკუთარი ქვეყანა კატასტროფას. უკრაინა კი იქნება თავისუფალი, დემოკრატიული და აყვავებული ევროპული სახელმწიფო, რომლის საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტი მთელი პროგრესული მსოფლიოა.

---

## ჩვენი მწერლობის“ დარბაზში გვანცა ჯობავას პოეტური კრებულის წარდგინება გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში გაიმართა წარდგინება გვანცა ჯობავას სადებიუტო პოეტური კრებულისა „კარდიოგრამა“. როგორც შეხვედრის წამყვანმა, მწერალმა და მეცნიერმა მაია ჯალიაშვილმა განაცხადა, გვანცა ჯობავას პოეზიის გაცნობა ყველას თვალნათლივ დაარწმუნებს იმაში, რომ მას სიტყვის შეგრძნება და წარმოსახვის იშვიათი უნარი აქვს.

„ამ ლექსებში დროის პულსაცია და დღევანდელობის ტკივილები ირეკლება. ბევრი სიხარულია და ბევრი სინათლეც მოედინება. პოეტი გვაჯერებს, რომ მართლაც არსებობს მეცხრე ცა. გამოირჩევა სისადავითა და გულწრფელობით და არის კიდევ რაღაც სხვა, რაც პოეზიის შთამბეჭდაობას განსაზღვრავს“, –- განაცხადა მაია ჯალიაშვილმა.

როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, ახლახან გვანცა ჯობავას სამოგზაურო რომანი „ჩპეცკ-16“ გამოიცა და ის ჯერაც მისი შთაბეჭდილების ქვეშაა მოქცეული.

„თუ ეს წიგნი მხატვრულ-დოკუმენტური დღიურებია, „კარდიოგრამა“ ლირიკული დღიურებია. აქ ავტორის წრფელი გულის, გახსნილი სულის კარდიოგრამას ვეცნობით“, –- აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ და დარბაზს ახალი პოეტური კრებულის შესახებ დაწერილი შესანიშნავი ესეი „უხმო ლოცვები“ წაუკითხა.

კრიტიკოს ადა ნემსაძის მოსაზრებით, გვანცა ჯობავას შეუძლია, რამდენიმე ლექსით ამოუწურავი, მშვენიერი სამყარო გადაგიშალოთ. ის რითმიანსა და ურითმო ლექსებსაც ერთნაირი სიძლიერით ქმნის. ერთნაირად მომხიბლავია მისი სიტყვათწარმოებაც –- ფილოსოფიურად მსჯელობს თუ საკუთარ განცდებს გადმოსცემს.

„გვანცა ჯობავას ლექსებში ჯერ პოეტური განცდა მოდის, შემდეგ –- რეფლექსია“, –- აღნიშნა ადა ნემსაძემ.

მწერალმა ზვიად კვარაცხელიამ „კარდიოგრამის“ შეფასებასთან ერთად გვანცა ჯობავას მთარგმნელობით საქმიანობაზეც გაამახვილა ყურადღება.

„ის საკუთარ თავს, საკუთარ ენას არც ორიგინალურ შემოქმედებაში კარგავს და არც თარგმანში. ამასთან, ინარჩუნებს იმ ავტორის ხელწერასაც, რომელსაც თარგმნის. შეუძლია სრულიად განსხვავებული ავტორები ერთნაირი წარმატებით შესთავაზოს მკითხველს“, –- განაცხადა ზვიად კვარაცხელიამ.

საღამოზე შეკრებილ სტუმრებს თავად გვანცა ჯობავაც მიესალმა. მან „ჩვენ მწერლობაში“ მისი პირველი სტუმრობა გაიხსენა და სიხარულით აღნიშნა, რომ ვერც კი წარმოიდგენდა, თუკი წლების შემდეგ მას აქ შეხვედრას მოუწყობდნენ.

„ეს ჟურნალი თვითონ პოულობს ადამიანებს და გზას უხსნის მათ. ჩემდამი ასეთი ღია, უშუალო დამოკიდებულება რომ არა, საკუთარი ლექსების წარმოდგენას ვერც გავბედავდი. პროფესიული მიდგომაც ვიგრძენი — ჩემს ლექსებზე მანამდე არავის დაუწერია. ჟურნალ „ჩვენს მწერლობასთან“ თანამშრომლობა კარგად გრძელდება“, – აღნიშნა გვანცა ჯობავამ და სტუმრებს არაერთი ლექსი წაუკითხა.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: ზოია ცხადაია, ნინო სადღობელაშვილი, ლია სტურუა, გურამ პეტრიაშვილი, მარიამ წიკლაური, ინგა მილორავა, თემურ ნადარეიშვილი, ლევან ქურციკაშვილი.

მედიანიუსი

---

## დემოკრატიული მოძრაობა“ აუდიტის სამსახურის ფუნქციებისა და საქმიანობის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანას მოითხოვს

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ხელისუფლება აუდიტის სამსახურს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ უკანონოდ მინიჭებულ სადამსჯელო ფუნქციას დღემდე უნარჩუნებს. აღნიშნული განცხადებით, ნინო ბურჯანაძე აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივას გამოეხმაურა და მას თვალთმაქცური უწოდა.

მისი თქმით, როგორც აღმოჩნდა, სამსახურის ერთადერთ სამიზნეს ახლა „დემოკრატიული მოძრაობა“ წარმოადგენს.

იგი განმარტავს, რომ არასამთავრობო სექტორს ლაშა თორდიას ნებრათვის გარეშეც აქვს უფლებამოსილება და საშუალება, დაინტერესების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეამოწმოს პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობა, რაც მისასალმებელი და მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით პოლიტიკური ორგანიზაციების ფინანსების გამჭვირვალობის კუთხით.

„როგორც ცნობილი გახდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიციატივით შეიქმნება დროებითი კომისია, რომელიც პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კანონიერებას და გამჭვირვალობას დააკვირდება. გავრცელებული ინფორმაციით, კომისია ძირითადად დაკომპლექტდება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან. ჩვენ არასამთავრობო ორგანიზაციების დიდ უმრავლესობასთან გვაქვს ურთიერთობა და ვენდობით მათ. საინტერესოა, რომელი არასამთავრობოები შევლენ აღნიშნულ კომისიაში. თუმცა რაც ყველაზე მთავარია, მიგვაჩნია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაუყოვნებლივ უნდა გაატაროს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის შედეგადაც გაუქმდება ე.წ. „მოგელაძის“ უსამართლო კანონი, ხოლო აუდიტის სამსახურის საქმიანობა და ფუნქციები მოვა საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია შეიქმნება. კომისია არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება და ის პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის პროცესს დააკვირდება.

ნიუსპრესი

---

## გიორგი კანდელაკი: საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიული ზრახვები არ შეკავებულა“

ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტარი გიორგი კანდელაკი ქარელის რაიონში საოკუპაციო ხაზის გადმოწევის ფაქტს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ დღევანდელმა დღემ ნათლად აჩვენა, რომ რუსეთის აგრესიული ზრახვები სუვერენიტეტისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ არ შეკავებულა.

კანდელაკმა დღეს გამართულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მთავრობას აღნიშნულთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდებისკენ მიუთითა.

„რას აკეთებენ ისინი ამ ყველაფრის შესაჩერებლად და იმისათვის, რომ საქართველოს საკითხი დასავლეთ– რუსეთის ორმხრივ ურთიერთობებში შენარჩუნდეს მაღალ ნიშნულზე?! სოჭის ოლიმპიადის დასრულებისთანავე , რომელიც შეძლებისდაგავარდ რუსეთის ფედერაციამ შეეცადა გამოეყენებინა საქართველოს ოკუპაციის ლეგიტიმაციის მისაცემად, განახლდა ოკუპაციის ხაზზე მავთულხლართების და სხვა ბარიერების აღმართვა. განახლდა საოკუპაციო ხაზის გადმოწევა და ამ ფონზე ძალიან შემაშფოთებელია საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის მორიგი ბუნდოვანი განცხადება. უმაღლესი თანამდებობის პირები ამბობდნენ, რომ საოკუპაციო ხაზზე მიმდინარე სამუშაოები უკავშირდებოდა ოლიმპიადას და შემდგომ აღარ გაგრძელდებოდა. ჩვენ ასევე არ გვაქვს დადასტურებული ცნობები მართლა დროებითი იყო თუ არა აფხაზეთის სიღმეში გაგრის მიმართულებით 11 კმ-ზე საზღვრის უკანონო გადმოწევა საოკუპაციო ძალების მიერ“,-განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

მისივე განცხადებით, „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკის მთავარი შედეგი არის ის, რომ საქართველოს საკითხი დასავლეთ– რუსეთის ორმხრივი პოლიტიკური დღის წესრიგიდან ნელ-ნელა ქრება.

ცნობისთვის: ქარელის რაიონის სოფელ ატოცში რუსმა მესაზღვრეებმა ე.წ გამყოფი კედლის მშენებლობა დილიდან განაახლეს. მავთულხლართებს მიღმა ადგილობრივი მოსახლეობის ნაკვეთები და დაუმუშავებელი მიწები მოყვა. სამუშაოები მესამე დღეა მიმდინარეობს, რის შედეგადაც რუსების მიერ კონტროლირებად ზოლში უკვე მოყვა 8 ჰა ტერიტორია.

მედიანიუსი

---

## პროფკავშირი კანონში შეტანილ ცვლილებებს ადამიანის შრომის უფლების უხეშ დარღვევად აფასებს

საჯარო მოხელეთა პროფკავშირი ადამიანის შრომის უფლების უხეშ დარღვევად აფასებს საქართველოს პარლამენტის მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ჩაითვლება დროებით მოვალეობის შემსრულებლად და ისინი უფლებამოსილებას განახორციელებენ შესაბამისი თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე.

პროფკავშირებში მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ცვლილებების შედეგად, შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეთა დიდი ნაწილი, უსამსახუროდ დარჩეს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

,,მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები კანონში შეტანილი იქნა დაინტერესებული მხარეების ყოველგვარი ჩართულობის გარეშე და მას წინ არ უძღვოდა რაიმე სახის წინასწარი კონსულტაციები საჯარო მოსამსახურეთა უფლებების დამცველ ორგანიზაციასთან. კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით, საქართველოს საჯარო მოხელეთა პროფესიული კავშირი იწვევს ადამიანის უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს, მიმდინარე წლის 27 თებერვალს 12 საათზე საქართველოს პროფესიული კავშირების საკონფერენციო დარბაზში“ ,– ნათქვამია მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მედიანიუსი

# ოთარ ჩრდილელი: ნაცმოძრაობა პოლიტიკური სამარისკენ კატასტროფული სიჩქარით მიექანება“

შორენა მარსაგიშვილი

**ნაციონალური მოძრაობა და არასაპარლამენტო ოპოზიცია კოალიცია 'ქართული ოცნების~ დაშლას წინასწარმეტყველებენ. მათი წინასწარმეტყველებანი მეოცნებეებს ამ ეტაპზე სასაცილოდაც არ ჰყოფნით და ამტკიცებენ, რომ ახლო მომავალში მსგავსი არაფერი მოხდება.**

ოცნების დაშლის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციებს დეპუტატი ოთარ ჩრდილელიც უარყოფს. ის ნაციონალების სხვა ბრალდებებსაც უარყოფს. ჩრდილელის თქმით, უხერხულია, როცა პოლიტიკური ნიშნით დევნაში ნაციონალები სხვას დაადანაშაულებენ.

განვითარდება თუ არა საქართველოში მოვლენები უკრაინის სცენარით, რატომ ვერ გახდება ვანო მერაბიშვილი მეორე ტიმოშენკო, რას მოასწავებს ნაციონალების მიერ დანთებული ჭიაკოკონა – ამ და სხვა თემებზე დეპუტატი ოთარ ჩრდილელი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– დეპუტატ გია გაჩეჩილაძის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის დატოვებას ნაცმოძი დიდი სიხარულით შეხვდა. სერგო რატიანი ვარაუდობს, რომ უმრავლესობას სხვებიც დატოვებენ. კახა კუკავას ინფორმაციით, კი კოალიციას „ეროვნული ფორუმის“ და ალასანიას გუნდის წევრები დატოვებენ. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით, ასეა საქმე?***

– მე არ ვაპირებ სერგო რატიანის ჰიპოთეზებზე საუბარს. არც ის მგონია, რომ ნაცმოძრაობას ახლა სასიხარულოდ ჰქონდეს საქმე. გია გაჩეჩილაძემ ჯერ კიდევ 4-5 თვის წინ, თუ არ ვცდები, გასული წლის ნოემბერში დააანონსა თავისი გასვლა უმრავლესობიდან. მან განმარტა სუბიექტური მიზეზები, რის გამოც გადადგა ეს ნაბიჯი. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ გია გაჩეჩილაძე კვლავ რჩება ჩვენი გუნდის მხარდამჭერად მთელ რიგ საკვანძო საკითხებში. რაც შეეხება პოლიტიკურ ინსინუაციებსა და თავდასხმებს, რომ, არიქა, „ქართული ოცნება“ იშლება და სხვადასხვა პოლიტიკოსები აანონსებენ, რომ ორშაბათს კოალიციას ტოვებს „ეროვნული ფორუმი“, სამშაბათს – რესპუბლიკელები, ოთხშაბათს – თავისუფალი დემოკრატები, ხუთშაბათს – კონსერვატორები. ეს ყველაფერი არის ჩვენი „კეთილისმსურველების“ ფანტაზიები და ისინი სასურველს რეალობად აღიქვამენ. არავინ არსად წასვლა-გასვლას არ აპირებს. პირიქით, ასე ხელჩაკიდებულნი მივდივართ ადგილობრივი არჩევნებისკენ.

***– ადვოკატ გოგა ონიანის დაკავებას ნაცმოძში დიდი ხმაური მოჰყვა. თავად ონიანი ამბობს, რომ ის ვაზისუბანში აპირებდა მაჟორიტარად კენჭისყრას და ამიტომ დააკავეს. ცოტა ხნის წინ დაკავებული ნაციონალებიც ამბობენ, რომ თვითმმართველობის არჩევნებში გეგმავდნენ მონაწილეობის მიღებას. პარტია ამას წინასაარჩევნო ტერორს უწოდებს. ატერორებთ თუ არა ნაციონალებს?***

– პოლიტიკური ტერორით ჩვენი ხელისუფლება არავის დევნის, არავის ამცირებს. თავად ნაციონალებმა კი მთელი თავისი კარიერა და ძალაუფლება ააგეს ინსტიტუციონალურ და სისტემურ ტერორზე. მე არ დავარღვევ უდანაშაულობის პრეზუმფციას და არაფერს ვიტყვი გოგა ონიანის ბრალეულობაზე. ეს სასამართლოს გადასაწყვეტია. არ დაგავიწყდეთ, რომ მათ მიერ დანიშნულ მოსამართლეებს გამოაქვთ განაჩენი და ჩვენი სასამართლოსთან ურთიერთობა ნულს ოდნავ ქვევითაა. ჩვენ სასამართლო სისტემის გამჭვირვალე და დამოუკიდებლად არსებობის მომხრე ვართ. ნაციონალებმა ყველაზე კარგად იციან, რომ მათი პარტიის რეიტინგი დღითიდღე კატასტროფულად ეცემა. მათ იციან, რომ ჩვენ ვატარებთ ცივილიზებულ არჩევნებს და ზუსტად ამის ეშინიათ. ისინი ხომ მიჩვეული იყვნენ ხელის გადაგრეხით, ძალადობითა და პოლიტიკური ტერორით არჩევნების მოგებას, თან თავად მათ გუნდშიც შიდა განხეთქილებაა და თბილისის მერობისათვის ორი კანდიდატურა ჰყავთ, ვაშაძე და უგულავა. 7 კანდიდატი რომ გამოიყვანონ მათი ან მათი სატელიტი პარტიებიდან, ხალხი მაინც არ ენდობა მათ და, რაც მთავარია, ხალხს არ უნდა წარსულში – ქვსროლია და მეცოცხეთა ეპოქაში დაბრუნება, ეპოქაში, სადაც ერთი არასერიოზული ჰომეოპათის ნება-სურვილით იმართებოდა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო საქმეები.



***– უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა ნაციონალებში ერთგვარი მოლოდინი გააჩინა. ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ შესაძლოა მალე ისინიც გამოცვივდნენ ქუჩაში და ევროპული არჩევანის დასაცავად ხმაურიანი აქციები გამართონ, რაც პროვოკაციებში გადაიზრდება. რამდენად არის ეს მოსალოდნელი და არის თუ არა მზად ხელისუფლება ამ პროვოკაციებისთვის?***

– უკრაინაში განვითარებული სცენარი არის „ნაციონალების“ აუხდენელი ოცნება. ჩვენმა პარლამენტმა ჯერ კიდევ გასული წლის მარტში მიიღო საგარეო კურსის უცვლელობის შესახებ რეზოლუცია, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ საქართველო განახორციელებს თანამიმდევრულ პოლიტიკას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ბუქარესტისა და შემდგომ სამიტებზე საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების აღსასრულებლად. ამ რეზოლუციის ერთ-ერთ პუნქტად არის ევროკავშირთან თანამშრომლობა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ და „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში, რომელიც განვითარდება ოთხი ძირითადი მიმართულებით: დემოკრატია და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, გარემოს დაცვა და ენერგოუსაფრთხოება, ადამიანთა შორის ურთიერთობები. პრიორიტეტულად განიხილება ასევე თანამშრომლობა სამშვიდობო პროცესების განვითარების სფეროში. ნაციონალები დარჩნენ ჩიორასა და გიორგი კანდელაკის რიტორიკაზე, რომ თითქოს მხოლოდ მათ ხელისუფლებასთან ჰქონდა კარგი ურთიერთობა ამერიკის მთავრობას, ამ დროს თავისუფალი სამყაროს ლიდერ ბარაქ ობამას არც ერცთ ნაციონალთან არ ჰქონდა ოფიციალური შეხვედრა, არადა, გვახსოვს, როგორ სამარცხვინოდ იქცეოდა სააკაშვილი და თვეების მანძილზე უცდიდა, თუ როდის შეხვდებოდა თუნდაც წამით ბატონი ობამა. გიმეორებთ, საუბარია ოფიციალურ შეხვედრაზე. დღეს კი რა მოცემულობა გვაქვს, თავად ხედავთ – ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ღარიბაშვილს ოფიციალურად ხვდება ამერიკის პოლიტისტებლიშმენტი პრეზიდენტ ობამას მეთაურობით და ეს ხდება ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ რაღაც ერთ წელიწადში. ეს ვიზიტი ხაზს უსვამს ამერიკის განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენი ქვეყნისადმი და ამყარებს ქართველი ხალხისა და მისი ახალი ხელისუფლებისადმი ღია მხარდაჭერას. აი, ეს არის ფაქტი და ფაქტებით საუბარი არ უყვარს ნაცმოძრაობას. მათ ურჩევნიათ, ილუზიებში იცხოვრონ. ასე რომ, დაანებონ თავი ქვეყნის საგარეო კურსზე ინსინუაციებს, ჩვენ ღიად და გარკვევით ვუჭერთ მხარს დასავლურ ფასეულობებს და, მათგან განსხვავებით, ამას საქმით ვამტკიცებთ.

***– იულია ტიმოშენკოს გათავისუფლების შემდეგ ამბობენ, რომ ვანო მერაბიშვილის ჯერიც დადგება. ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსი ისედაც ჭმუნვაშია ჩავარდნილი ვანოს პატიმრობის გამო. შესაძლოა, რომ ყოფილი პრემიერი თავისუფლებაზე ვიხილოთ?***

– ეს არის ნაციონალებისა და მათი ლობისტების მითი, რომ ქართველი ტიმოშენკოა მერაბიშვილი. ძალიან დიდი განსხვავებაა ამ ორ პიროვნებას შორის, პირველი ის, რომ ტიმოშენკო ქალია, მერაბიშვილი კი, მგონი, კაცია, ჯერ მაინც. მეორე – ვანო, ტიმოშენკოსავით ნაწნავს ჯერ არ ატარებს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თორემ, აბა, სერიოზულად როგორ უნდა აღვიქვათ ვანო გაღლეტილის შედარება რომელიმე მაღალი რანგის პოლიტიკოსთან.

***– ნაციონალების მიერ მოდულის შენობის წინ საბურავების დაწვაზე რას ფიქრობთ? თქვენი აზრით, სადამდე წავლენ ნაციონალები?***

– ნაციონალური ჭიაკოკონობა ჩემთვის უინტერესოა. ბევრად მეტია ქვეყანაში პრობლემა, ვიდრე აკო მინაშვილის მიერ დამწვარი საბურავი. ისინი, ჩემი აზრით, კატასტროფული სიჩქარით მიექანებიან იქ, სადაც მათი მშობელი პარტია „მოქკავშირია“ – პოლიტიკური სანაგვისაკენ.

**ნაციონალური ჭიაკოკონობა ჩემთვის უინტერესოა. ბევრად მეტია ქვეყანაში პრობლემა, ვიდრე აკო მინაშვილის მიერ დამწვარი საბურავი. ისინი, ჩემი აზრით, კატასტროფული სიჩქარით მიექანებიან იქ, სადაც მათი მშობელი პარტია „მოქკავშირია“ — პოლიტიკური სანაგვისაკენ.**

***– არასაპარლამენტო ოპოზიცია წუხს იმის გამო, რომ „ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობას დაემსგავსა და მათ მსგავსად აპირებთ არჩევნების გაყალბებას. ამაზე რას იტყვით?***

– და რით გამოიხატება, რომ არჩევნებს ვაყალბებთ? ყველა უცხოურმა თუ ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ აღიარა, რომ ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები იყო ყველაზე გამჭვირვალე, რაც კი ჩატარებულა. პირიქით, პრემიერმა ღარიბაშვილმა გაუკეთა ინიცირება 50-პროცენტიან ბარიერს, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა 4 თვით ადრე დააანონსა, თუ როდის იქნება არჩევნები, მაშინ როდესაც ნაციონალების პრეზიდენტი ყოველთვის ბოლო წამს ამბობდა არჩევნების თარიღს. ახლა აღარაა ფორსმაჟორი და არასაპარლამენტო პარტიებს თავისუფლად აქვთ დრო, რომ მაქსიმალურად მოემზადონ თვითმმართველობის არჩევნებისთვის. 15 ივნისის არჩევნები იქნება ლაკმუსი ძალიან ბევრი პარტიისათვის, ზოგი შემორჩება პოლიტიკურ ველს, ზოგიც დატოვებს სარბიელს. არ შეიძლება, ოპოზიციამ თავისი უუნარობა ყოველთვის სხვას გადააბრალოს. ჩვენ როდესაც ოპოზიციაში ვიყავით, არ გვქონდა ასეთი სასათბურე პიროვნები არჩევნებში, პირიქით, იყო მასშტაბური დარბევები, რეპრესიები, სახელმწიფოს მხრიდან, რეკეტი და ა.შ. დღეს ეს წნეხი მოხსნილია და, პირიქით, ჩვენი ამოცანაა დემოკრატიული პროცესების განვითარება და არა მათი ჩახშობა. ღია და თავისუფალი არჩევნები, მოგეხსენებათ, დემოკრატიის მწვერვალია, ისევე, როგორც დამოუკიდებელი მასმედია და სამოქალაქო სექტორი.

***– საქართველოში ყოველი მეორე ექსპერტი მიიჩნევს, რომ ოლიმპიადის დასრულების შემდეგ რუსეთი აუცილებლად მოიცლის საქართველოსთვის. ელოდებიან პროვოკაციებს. თქვენი აზრით, რას უნდა ველოდოთ ჩრდილოეთიდან?***

– ისეთი პატარა და პოლიტიკურად მომგებიანი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ყოველთვის იქნება იმპერიების თვალთახედვის არეში. ჩვენ აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ სახელმწიფო ინსტიტუტები, საგარეო ურთიერთობებში ჩვენი პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა გვაქვს და მომავალშიც გვექნება. ჩვენი ქვეყნის თავზე ყოველთვის იყრიდა თავს შავი ღრუბლები, მაგრამ ჩვენ მეტ-ნაკლებად ვახერხებდით ამ ღრუბლების გაფანტვას, რის ფასად, ეს კიდევ ცალკე თემაა. ჩვენ ზემოთ აღნიშნულ რეზოლუციაში გარკვევით გვიწერია: საქართველო რუსეთთან დიალოგს წარმართავს როგორც ჟენევაში მიმდინარე საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით, ისე ორმხრივ ფორმატში. ამ დიალოგის მიზანია კონფლიქტის მოგვარება, კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება. საქართველო ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირისა და რუსეთის ფედერაციის პოზიციების დაახლოებას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებისა და ჰელსინკის პრინციპების შესაბამისად.

# რუსებმა საქართველოს ტერიტორიაზე მავთულხლართების გავლება განაახლეს

შორენა მარსაგიშვილი

ქართველი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ სოჭის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ არეულობა და ხიფათი არ მოგვაკლდება. უსიამოვნო სიურპრიზებს ერი ჩრდილოელი მეზობლისგან ელოდება. ოლიმპიადა დასრულდა და რუსეთმაც შეგვახსენა თავი.

ქარელის რაიონის სოფელ ატოცში გუშინ რუსები გამოჩნდნენ. მათ მავთულხლართების გავლება განაახლეს. საქართველოს ხელისუფლება ამ ფაქტს შეშფოთებით შეხვდნენ, თუმცა ალალად ისიც აღიარეს, რომ ამას ელოდნენ.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ოლიმპიადის დასრულების შემდეგ მავთულხლართების გავლების განახლება მოსალოდნელი იყო.

– ეს მოსალოდნელი იყო, სამწუხაროდ. ოლიმპიადის კონტექსტში რუსეთის ამას, ბუნებრივია, არ გააკეთებდა. აშკარაა, რომ რუსეთს ძალიან ცოტა რესურსი აქვს დარჩენილი. ჩვენ ვხედავთ, როგორ მოქმედებს ის უკრაინაში, სხვა ქვეყნებშიც ვნახავთ ჩვენ მის მოქმედებებს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენი მთავრობის გონივრული ნაბიჯები მას არაფრის საშუალებას არ აძლევს, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მისივე თქმით, მავთულხლართების გაბმა საქართველოს დელეგაციის აშშ-ში ვიზიტს დაემთხვა და იქ გამართულ მაღალი დონის შეხვედრებზე რუსეთის ამ ქმედებებზე ისაუბრეს.

– საერთაშორისო თანამეგობრობა ხედავს, რამდენად აგრესიულია და, ფაქტობრივად, კონტროლი აქვს დაკარგული რუსეთს. ის ცდილობს, შეინარჩუნოს თავისი გეოპოლიტიკური გავლენები. ამიტომ, აშკარად, ევროპა კიდევ უფრო მონდომებულია და მოტივირებულია, რათა მკაფიოდ და ცალსახად განაცხადოს, რომ მხარს დაუჭერს საქართველოს. აშკარაა, რომ ჩვენმა სწორმა პოლიტიკამ ბორდერიზაციის მეტი არაფერი დაუტოვა რუსეთს. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ სიმტკიცე, ჩვენ გვჭირდება, მივიდეთ ასოცირების ხელმოწერამდე. მთავრობა მაქსიმუმს გააკეთებს, რომ კონფლიქტის ზონებთან მოსახლეობა დარჩეს და ადგილზე შეუქმნას მათ არა მარტო არსებობის, არამედ განვითარების საშუალება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში პაატა ზაქარეიშვილმა.

ოლიმპიადის წინ მოუსვენარი და ფრთხილი რუსეთი აფხაზეთის ტერიტორიაზეც შეიჭრა. მათ გაგრის რაიონის ტერიტორიაზე 11-კილომეტრიანი უსაფრთხოების ზონა შექმნეს.

ამ ფაქტს საქართველოს ხელისუფლება პროტესტით შეხვდა. თავი აფხაზებმაც გაინერვიულეს. მოსკოვმა განაცხადა, რომ ოლიმპიადის დასრულების შემდეგ უკან დაიხევდნენ. ოლიმპიადა დასრულდა, მაგრამ რუსები ისევ იქ დგანან და, შესაძლოა, არც წავიდნენ. ეს ფაქტი აფხაზებს ძალიან აწუხებთ.

– 11-კილომეტრიანი უსაფრთხოების ზონა, რომელიც რუსეთმა სოჭის ოლიმპიადის კონტექსტში შექმნა, აფხაზებისთვისაც დამაფიქრებელი და შემაშფოთებელია. ზედმიწევნით კარგად ვიცი, როგორ გამოიყურება ყველაფერი ეს. რუსეთ-საქართველოს საზღვრის სიღრმეში, 11 კილომეტრის ზონაში, არსებობს უსაფრთხოების ზონა, რომელიც თვალნათლივ არ ჩანს. შეიძლება ასე ვთქვათ, რომ 11-კილომეტრიან ზონაში მოქმედებს ე.წ. საკომენდანტო საათი ანუ რუს ოკუპანტებს, ჯარისკაცებს შეუძლიათ, იქ გააჩერონ ნებისმიერი ადამიანი, გაუჩხრიკონ ჩანთა ან ბინაში შევიდნენ ამ 11-კილომეტრიან ზონაში. სხვა რამ ხილული ნიშნები, გარდა იმისა, რომ გზაზე შეიძლება იდგეს სამხედრო მანქანა, რომელმაც შეიძლება გააჩეროს სხვა მანქანა, არ ჩანს. ეს არის ოკუპაციური რეჟიმის გაგრძელება, მიუხედავად იმისა, რომ ხილული ნიშნები იქ არაფერი არაა. მათი მხრიდან გაცხადებული იყო, რომ ეს რეჟიმი 21 მარტამდე გაგრძელდებოდა. ამას აკვირდება თვითონ აფხაზური საზოგადოებაც, იმიტომ, რომ ეს მათთვისაც დამაფიქრებელი და შემაშფოთებელია. გეტყვით, რომ ნამდვილად მოდის აფხაზეთიდან ასეთი სიგნალები. მე მაინც მგონია, გადამეტებულ ემოციებს, სჯობს, დაველოდოთ 21 მარტამდე. სოჭში კი დასრულდა



ზამთრის ოლიმპიური თამაშები, მაგრამ იწყება პარაოლიმპიური თამაშები. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების ზომები გრძელდება. საქართველოც დაინტერესებულია, პარაოლიმპიური თამაშები ჩატარდეს უსაფრთხოდ. ეს ჩვენს ღირსებაზეც მეტყველებს. საქართველო არის ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ესაზღვრება ოლიმპიურ თამაშებს და ჩვენ გვინდა, მსოფლიომ დაინახოს, რომ, მიუხედავად ოკუპაციისა, მიუხედავად დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობისა, ჩვენ ვმონაწილეობთ საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტში, როგორიც არის ოლიმპიური თამაშები, – დასძინა ზაქარეიშვილმა.

თავის დროზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ 11-კილომეტრიანი უსაფრთხოების ზონა, რომელიც ვითომდა სოჭის ოლიმპიადის კონტექსტში შეიქმნა, შესაძლოა, დარჩეს ისე, როგორც არის დღეს.

# თბილისის საკრებულომ საქართველოს ოკუპაციის დღე აღნიშნა

მარიკა მჭედლიშვილი



საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა, მისმა პირველმა მოადგილემ გიორგი მუსხელიშვილმა 1921 წლის თებერვალში დაღუპულ იუნკრებს პატივი მიაგეს, თავმჯდომარის მოადგილემ, ისტორიკოსმა ჯაბა სამუშიამ კი მცირე ლექცია წაუკითხა ბავშვებს ოკუპაციის მუზეუმში.

– ქედს ვიხრით იმ გმირი ვაჟკაცების წინაშე, რომლებმაც 1921 წელს თავი შესწირეს თავიანთ ქვეყანას. შეიძლება ვიღაცას უაზროდ მიაჩნდა მათი ბრძოლა, მაგრამ დღეს, როდესაც მათ უკვდავ საფლავებთან ვდგავართ და წარმოგვიდგენია, თუ როგორი თავდადებით იბრძოდნენ ქართველი ახალგაზრდები, ვხვდებით, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, – განაცხადა დაღუპულთა მემორიალთან ირაკლი შიხიაშვილმა.

– დღეს არის ტრაგიკული დღე საქართველოს ისტორიაში. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა ომის გამოუცხადებლად მოახდინა საქართველოს ანექსია. ბრძოლას უამრავი ქართველი ახალგაზრდა შეეწირა. ისინი გმირულად იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და მათი ოცნება 1991 წელს ახდა, – აღნიშნა გიორგი მუსხელიშვილმა.

ჯაბა სამუშიამ საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში აფხაზეთიდან დევნილ მოსწავლეებს უმასპინძლა. იგი პატარა სტუმრებს ესაუბრა 1921 წლის ოკუპაციაზე, 70-წლიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, საბჭოთა რეპრესიებზე.

– ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა იყო მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი ტრაგედია. მნიშვნელოვანია, რომ მოზარდებმა იცოდნენ თავიანთი ქვეყნის ისტორია. განსაკუთრებით, ის სისხლიანი უახლესი ფურცლები, თუ როგორ იბრძოდნენ ჩვენი გმირები საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

# „საზოგადოებამ ნაციონალები სამუდამოდ უნდა მოიცილოს თავიდან!“

მარიკა მჭედლიშვილი

**სააკაშვილი და მისი პარტია რომ პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებდნენ, ყოველთვის ცხადი იყო. ჩადენილი დანაშაულებისა და არაადამიანური სისტემის ჩამოყალიბების მიუხედავად, ისინი პოზიციებს არ თმობდნენ და არც ახლა თმობენ. „ნაცებს“, როგორც პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი ამბობს, „სამართლიანობის კოდი აქვთ მოშლილი“. მათი პოზიციები გაამყარა კოჰაბიტაციამ „ქართულ ოცნებასთან“. ამ ორპარტიულმა სიამტკბილობამ საზოგადოების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია და ბევრ დაზარალებულ ადამიანს დაუკარგა სამართლიანობის დამყარების იმედი.**

ხალხისთვის ავადმოსაგონარი მოძრაობა განსაკუთრებულად ბოლო დღეებში გალაღდა. „ნაცებმა“ მიიჩნიეს, რომ უკრაინაში მოვლენები მათთვის გამარჯვებით დამთავრდა. ყოფილი მმართველი პარტია, რომელიც ახლანდელ პარლამენტში 40 პროცენტითაა (სინამდვილეში მოსახლეობის ბევრად ნაკლები უჭერს მხარს) წარმოდგენილი, ხელისუფლებაში მასშტაბურად დაბრუნებას გეგმავს, როგორც ჩანს, არასაარჩევნო გზით. იმიტომ, რომ ხალხი სააკაშვილის პარტიას ხმას არ მისცემს, რაც უნდა დაეცეს „ქართული ოცნების“ რეიტინგი. „ოცნებაზე“ კი ბევრმა გული აიცრუა სწორედ „ნაცებთან“ ღია თუ ფარული ალიანსების გამო.

„ნაცების“ მხრიდან პროვოკაციებისა და ძალადობრივი მოქმედებების თავიდან ასაცილებლად პარტია „სრულიად საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ მოსახლეობის გამოკითხვას მიმართა. სამართლიანი „სახალხო რეფერენდუმის“ ერთი შეკითხვა სწორედ სააკაშვილსა და მის გუნდს ეხება – „მიგაჩნიათ თუ არა, რომ სააკაშვილის მმართველობა იყო დანაშაულებრივი?“ წინასწარი მონაცემებით, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ შეკითხვას დადებითად პასუხობს.

– სააკაშვილი ცდილობს „ნაციონალური მოძრაობის“ რეაბილიტაციას და საკუთარი თავის პირდაპირ ან ირიბ რეანიმაციას. დასავლეთში არიან სერიოზული ძალები, რომლებიც ამ იდეით გამოდიან. ამიტომაა, რომ ახლანდელ ხელისუფლებას ხან პრორუსულს ეძახიან და ხან ოლიგარქებს. ქართველ ხალხს „ნაციონალური მოძრაობა“ დამნაშავედ მიაჩნია. ჩვენი გამოკითხვის შედეგები დასავლეთს უნდა გავაცნოთ და ვუთხრათ, რომ ხალხს არ სურს სააკაშვილი და მისი თანაგუნდელები, – აცხადებს ალიანსის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი, რომელიც არ გამორიცხავს, რომ ილუზიებში მყოფი „ნაციონალები“ ქვეყანაში მღელვარებასა და დაპირისპირებას გამოიწვევენ, მაგრამ „საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოიცილოს ეს ხალხი თავიდან“.

„სახალხო რეფერენდუმი“ სხვა შეკითხვებსაც მოიცავს. მაგალითად, „რომელ პარტიას უჭერთ მხარს არჩევნებში?“ როგორც ცნობილია, ადგილობრივი არჩევნები 15 ივნისს უნდა გაიმართოს. არასაპარლამენტო ოპოზიცია ისევ საუბრობს უსამართლო საარჩევნო გარემოზე.

დანარჩენი შეკითხვები ეხება ევროკავშირში, ნატოსა და ევრაზიულ კავშირში საქართველოს შესვლას. გამოკითხვაში მონაწილემ უნდა შეარჩიოს პასუხების ვარიანტები. მათი შინაარსი ასეთია – მხარს ვუჭერ, არ ვუჭერ, მხარს ვუჭერ საქართველოს პირობების შესრულების შემთხვევაში.

დავით თარხან-მოურავი აცხადებს, რომ აშშ-სა და ევროპაში არიან ძალები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველომ უარი უნდა თქვას რუსეთის მიერ ოკუპირებულ მიწებზე და ნატოში ისე შევიდეს.

– ყველამ უნდა გაიგოს, რომ ჩვენთვის სოხუმი და ცხინვალი მთავარია. ჩვენ ამ მიწების მოსახლეობა ვართ. ვიღაცას ის ჰგონია, რომ ამ ტერიტორიებზე დამპყრობლებად მოვედით. ესაა სრული სისულელე. ვიღაცა იმასაც ამბობს, რომ ეს ჩვენი მიწები არაა, უარი ვთქვათ მათზე და შევიდეთ ნატოში. ეს ორმაგი სისულელეა. უარიც რომ ვთქვათ, ნატოში მაინც ვერ შევალთ, იმიტომ, რომ დანარჩენ ტერიტორიებზეც გამოჩნდებიან პრეტენდენტები, – აღნიშნავს დავით თარხან-მოურავი.

იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს ევროკავშირში ინტეგრაცია, ოღონდ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ტრადიციების შენარჩუნების პირობებით:

– ჩვენი კულტურა, ზნეობა არ უნდა დაზარალდეს. ტრადიციების, რწმენის საკითხი დღეს დუღს ევროპაში. ამა თუ იმ ქვეყანას ეუბნებიან, ტრადიციებს ვიცავთო, მაგრამ, ამავე დროს აიძულებენ არატრადიციულ ცხოვრებას.

კითხვარში ევრაზიული კავშირიცაა ნახსენები, თუმცა, ასეთი წარმონაქმნი შექმნილიც არაა. რუსეთი, ბელორუსია და ყაზახეთი გაერთიანდნენ საბაჟო კავშირში. აქ გაწევრიანებას აპირებს სომხეთიც.

ამ ორგანიზაციის ხსენებით გამომკითხველებს მოსახლეობის აზრის გაგება სურთ.

# უკრაინის სცენარის რუსეთში გამეორება შეუძლებელია

მარიკა მჭედლიშვილი

უკრაინაში მომხდარი და მიმდინარე მოვლენები მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრშია.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ აზრით, გამარჯვების აღნიშვნა ჯერჯერობით ნაადრევია. ადრეა ასევე იმის მტკიცება, რომ დასავლეთმა გაიმარჯვა ან რუსეთმა დანაკარგი განიცადა. მოსკოვს შეუძლია საზღვრის ჩაკეტვა ან გაზის გაძვირება. უკრაინას, გაზეთის სიტყვებით, ძალიან ესაჭიროება ეკონომიკური დახმარება. აშშ-ს და ევროკავშირის მხრიდან სწორი ნაბიჯი იქნება უკრაინელებისათვის იმის დაპირება, რომ ისინი ფინანსურ დახმარებას მიიღებენ, თუ ჩამოაყალიბებენ საიმედო მთავრობას და დათანხმდებიან რეფორმების პაკეტს. ვლადიმერ პუტინი, ისევე, როგორც მისი თანამემამულეები, სრულად ვერ ეგუებიან იმ ფაქტს, რომ უკრაინა დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

„ვაშინგტონ პოსტის“ შეფასებით, რუსეთის ხელისუფლებამ უნდობლობა გამოუცხადა უკრაინის ახალ მთავრობას და განაცხადა, რომ იგი შეიარაღებული ამბოხების გზით მოვიდა ხელისუფლებაში. რუსეთის ტონი ამჯერად უფრო მძაფრი იყო. უკრაინის პარლამენტი ჩქარობს ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნას, რათა, ბოლოს და ბოლოს, მიიღოს ფინანსური დახმარება. ამავე დროს, რუსეთის საგარეო სამინისტრო გამოვიდა რუსულენოვანი უმცირესობის დასაცავად, რომელიც, ძირითადად, უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში ცხოვრობს.

გაზეთ „ტრუდს“ მოჰყავს „დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის“ დირექტორის, კონსტანტინ ზატულინის სიტყვები. მისი თქმით, იანუკოვიჩმა ყველას უღალატა: თავის მომხრეებსაც, თავის გუნდსაც, უკრაინის აღმოსავლეთსა და სამხრეთში მცხოვრებ მოსახლეობასაც და საკუთარ თავსაც.

– უკრაინის სცენარის რუსეთში გამეორება შეუძლებელია, – „იტარ-ტასის“ ცნობით, ამას აცხადებს რუსეთის სახელმწიფო დუმას ფრაქცია „ედინაია როსიას“ თავმჯდომარე ვლადიმირ ვასილიევი.

– რა მოხდა უკრაინაში? იმ ადამიანებმა, რომელთა შორის ბევრი გაუგებარი და უცნობია, რაღაც ჯგუფებმა, ხანძრების, ცემისა და მკვლელობების გზით შექმნეს შიშის ატმოსფერო და საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება. ეს საშინელი მაგალითია ბევრისთვის. იმ ხელისუფლებას, რომელმაც უკრაინაში პასუხისმგებლობა იკისრა, ფრაქციის თავმჯდომარემ უსურვა, პირველ რიგში, უზრუნველყოს ადამიანის უფლებები და შეასრულოს საერთაშორისო შეთანხმებები.

## სასჯელაღსრულების სისტემის 20 თანამშრომელი დისციპლინური წესით დაისაჯა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საფუძველზე, დისციპლინური დარღვევის გამო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულების 20 თანამშრომელი დისციპლინური წესით დაისაჯა. სამს შენიშვნა გამოეცხადა, ორს – სასტიკი საყვედური, ხოლო 15 მათგანს – საყვედური.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, სისტემის თანამშრომლების პასუხისმგებლობა სხვადასხვა ტიპის დისციპლინურმა დარღვევებმა გამოიწვია.

როგორც უწყება განმარტავს, აღნიშნული პირების ქმედებებით, სხვადასხვა შემთხვევაში დაირღვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი და პრეზიდენტის №832 ბრძანება „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“, ასევე უგულვებელყოფილ იქნა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების სისტემის ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ნიუსპრესი

## შსს-ს წარმომადგენლები სამოქალაქო უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლები ევროკავშირის მხარდაჭერით აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში ორგანიზებული პროგრამის ეგიდით გამართულ მთავარ დამაგეგმარებელ კონფერენციასა და სამეთაურო-სამაგიდო ვარჯიშში მონაწილეობენ.

ღონისძიებაში საქართველოს შს სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, ბელარუსიის და მოლდოვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურების წარმომადგენლები მონაწილეობენ. კონფერენცია და სამეთაურო-სამაგიდო ვარჯიში სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ტარდება და 27 თებერვლამდე გაგრძელდება.

ამ პროგრამის წარმომადგენლები მონაწილეებს ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის შესახებ პრეზენტაციას წარუდგენენ და პროგრამაში ჩართული ქვეყნების სამოქალაქო თავდაცვის პრინციპებს გააცნობენ.

შსს-ს ინფორმაციით, სამეთაურო-სამაგიდო ვარჯიში კატასტროფების და კრიზისული სიტუაციების დროს სამოქალაქო უსაფრთხოების ერთიანი გეგმის შექმნას და კომუნიკაციის პრინციპების შემუშავებას ისახავს მიზნად, რაც საგანგებო სიტუციის დროს კონკრეტული ამოცანების და ოპერაციების გადაჭრას გაამარტივებს.

ნიუსპრესი

## შინაგან საქმეთა სამინისტროს ლატვიელი ექსპერტები ეწვივნენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის პროექტ „ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტის“ ფარგლებში ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიციის კოლეჯის ექსპერტები ეწვივნენ. შსს-ს პოლიციის აკადემიაში ღონისძიების გახსნას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი შალვა კვინიხიძე, პოლიციის აკადემიის რექტორი ნუკრი გელაშვილი და ლატვიის ელჩი საქართველოში ელიტა გაველე დაესწრნენ.

ვიზიტის დროს ლატვიელმა ექსპერტებმა მასების მართვის სამართლებრივი საფუძვლები, სპეციალური ღონისძიებების დროს პოლიციის როლი, მათ შორის რისკების შეფასება, ორგანიზატორებთან თანამშრომლობა, ასევე, ადამიანის უფლებების დაცვა, სპორტული ღონისძიებების ხელმძღვანელობა და პოლიციელებისთვის ტრეინინგების ჩატარების საკითხები განიხილეს. ექსპერტებმა ასევე პოლიციის იმ დანაყოფების მუშაობის სპეციფიკაზე ისაუბრეს, რომლებიც ლატვიაში მასების მართვის საკითხებზე არიან პასუხისმგებლები.

აღნიშნულ ტრენინგში შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ნიუსპრესი

## ირაკლი ალასანიამ კოჯორში იუნკერთა მემორიალი გვირგვინით შეამკო



თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, სამშობლოსთვის ბრძოლაში დაღუპული თითოეული იუნკერი ყველა მოქალაქისთვის იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა დაიცვა საკუთარი სიცოცხლის ფასად სამშობლო. ამის შესახებ ალასანიამ კოჯორში განაცხადა, სადაც მინისტრმა და გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულ იუნკერთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

„იუნკერების მაგალთი, ჩვენი სამხედროებისთვის, ყველა მოქალაქისთვის და განსაკუთრებით თავდაცვის სამინისტროს იუნკერებისთვის მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო და როგორ უნდა მოემზადო ყველაზე მნიშვნელოვანი დღისთვის შენს ცხოვრებაში, რომელიც შეიძლება ყველა სამხედროს ნებისმიერ წამს დაუდგეს – დაიცვას საკუთარი ქვეყანა, საკუთარი სიცოცხლის ფასად“– განაცხადა ალასანიამ.

დაღუპული იუნკერების პატივსაცემად, თბილისსა და ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობებზე სახელმწიფო დროშები დაუშვეს.

თბილისში წითელი არმია 1921 წლის 25 თებერვალს შემოვიდა. რუსეთის 11-ე არმიას ქართული ჯარი, სახალხო გვარდია და მოხალისეები თბილისის მისადგომებთან ებრძოდნენ. ძირითადი ბრძოლები კოჯორსა და ტაბახმელას მიდამოებში გაიმართა. საბჭოთა საოკუპაციო ჯარებს წინ ახალგაზრდა იუნკერები აღუდგნენ.

ნიუსპრესი

## მთავრობას საზღვრის მართვის სტრატეგიის პროექტი მინისტრთა კაბინეტის მორიგ სხდომაზე წარედგინება

სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის შემუშავების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი საბჭოს მორიგი შეხვედრა გუშინ გაიმართა, სადაც საზღვრის მართვის სტრატეგიის პროექტის საბოლოო ტექსტი განიხილეს.

შსს-ს ინფორმაციით, მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის '49 დადგენილების თანახმად, სპეციალურად შექმნილ უწყებათაშორის საბჭოს, პრემიერ-მინისტრთან არსებული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს თავმჯდომარეობით, სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის შემუშავება და 2014 წლის 1 მარტამდე მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა დაევალა.

საზღვრის მართვის სტრატეგიის პროექტი მთავრობას მთავრობის მორიგ სხდომაზე წარედგინება.

ნიუსპრესი

# ნანა კაკაბაძე: საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე ემუქრება!“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძესთან

***— ქალბატონო ნანა, ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია. ბოლო პერიოდში კეთდებოდა შეფასებები, რომ ოლიმპიადის შემდეგ, რუსეთი კლანჭებს კვლავ გამოაჩენსო. ჩვენ ვხედავთ კიდეც, როგორ დაიწყო რუსეთმა საზღვრების გადმოწევა. როგორია თქვენი შეფასებები, რა უნდა გააკეთოს ქართულმა მხარემ?***

— უპირველეს ყოვლისა, მე მგონი, ნორმალური ხელისუფლებისთვის, რომელიც საქართველოს ინტერესებზეა ორიენტირებული, უპირველესი პრობლემა და უპირველესი საზრუნავი, ეს უნდა იყოს ტერიტორიული მთლიანობა. იმიტომ, რომ ყველაფერი იშლება და იცვლება ამ ქვეყანაზე, ყველანაირი ფორმირება, ყველანაირი კავშირები, ევროკავშირი კი არა, საბჭოთა კავშირი დაიშალა, რომელიც 70 წელი არსებობდა. ყველამ კარგად ვიცით, რამხელა იმპერია იყო. რა თქმა უნდა, ყველაფერი დაიშლება. ერთადერთი, რაც უნდა იქნეს შენარჩუნებული და რაზედაც უნდა იყოს ზრუნვა, ეს არის ტერიტორიული მთლიანობა. სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებას ამ პრობლემის გადაჭრის არანაირი პოლიტიკა არ გააჩნია. წინა ხელისუფლება, გასაგებია, ამას რატომაც ვერ აკეთებდა და არც აკეთებდა, იმიტომ, რომ ის იყო ხელისუფლება, რომელმაც იურიდიულად დააკარგვინა ქვეყანას ტერიტორიების 20%. თუ მანამდე იყო ის კონფლიქტური რეგიონები და იქ იყო კონფლიქტი, რომელიც დროთა განმავლობაში შუშდებოდა, ნელდებოდა და რაღაცნაირად დათბობისკენ და აღდგენისკენ მიდიოდა სიტუაცია, განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონს ვგულისხმობ, სააკაშვილის მოსვლის შემდეგ კი, იქ ქართული ოჯახიც კი აღარ არის დარჩენილი. ამიტომ მათ ეს რესურსი არ გააჩნდათ, ბუნებრივია, ალბათ სურვილიც არ გააჩნდათ, ისინი იყვნენ ორიენტირებულნი ძალაუფლების შენარჩუნებისკენ და ვინც შეუნარჩუნებდა ამ ძალაუფლებას, მათი პოლიტიკის გატარებაზე იყო ორიენტირებული. საზოგადოებაში დიდი მოლოდინი იყო იმის, რომ როცა ნაციონალური მოძრაობა შეიცვლებოდა, გარდა ადამიანის უფლებებისა და იმ ღირებულებებისა, რომელიც აღდგებოდა და დამკვიდრდებოდა, პირველი, რაც გაკეთდებოდა, ეს იქნებოდა ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაჭრა. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკა არ ჩანს. პირიქით, მოხდა ისე, რომ თუ სააკაშვილმა ომით დაკარგა ტერიტორიების დიდი ნაწილი, დღეს უკვე უომრად ხდება საზღვრების თანდათან გადმოწევა.

***— რით არის ეს გამოწვეული?***

— ეს 6 კილომეტრი იქნება თუ 8 კილომეტრი, სადაც იბმება ეს მავთულხლართები, რუსეთისთვის არ არის ის, რასაც ტერიტორიების საჭიროება და მიტაცება ჰქვია. იგივე რა დატვირთვაც აქვს მათთვის აფხაზეთს თუ ცხინვალს. მე მგონი, ეს არის იმის სიგნალი, რომ საქართველოს ხელისუფლება არასწორი პოლიტიკური კურსით აგრძელებს თავის არსებობას და არასწორი პოლიტიკური კურსით მართავს ქვეყანას. ეს არის ამაზე მინიშნება და ამაზე მითითება.

***— რა უნდა გააკეთოს დღევანდელმა ხელისუფლებამ?***

— ბუნებრივია, არავინ არ ელის და არავის არა აქვს სურვილი მონური მორჩილებისა და ღირსების შემლახავი ურთიერთობისა რუსეთთან, მაგრამ ეს უფრო მეტად არის დღეს ღირსების შემლახავი, რასაც ჩვენ ვუყურებთ, რომ ჩვენ ტერიტორიებზე გადმოდის მავთულხლართები და აქედან ვერანაირი პასუხის გაცემა ვერ ხდება და ვერც მოხდება. იმიტომ, რომ ჩვენ ომით დაპირისპირების უნარი ამ ეტაპზე არ გაგვაჩნია, მაგრამ პოლიტიკაც არ უნდა იყოს იქითკენ მიმართული, რომ ომით იქნება თუ უომრად, ტერიტორიების დათმობის პოზიციაში იყოს დღეს საქართველო. ამიტომ, ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლებამ პასუხი უნდა გასცეს უპირველეს ყოვლისა ქართველ ხალხს, რას ნიშნავს ეს მავთულხლართების მუდმივად გადმოტანა და, საერთოდ, რა პოლიტიკა გააჩნია მას რუსეთის მიმართ. თუ ეს არის ის გამაღიზიანებელი პოლიტიკა, რომელიც იწვევს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვას, არჩევანის გაკეთების შემთხვევაში ეს უკვე ქართველ ხალხს უნდა ჰკითხონ. აი ამ შემთხვევაში ჩვენ ვდგავართ ტერიტორიული მთლიანობის საფრთხის ქვეშ. უნდა თქვან, რა ალტერნატივა დგას დღეს ქართველი ხალხის წინაშე, ან ევროინტეგრაცია, ან ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენ, ქართველმა ხალხმა, უნდა ვიცოდეთ, რა პოლიტიკის შედეგია ის, რომ დღეს ჩვენ ტერიტორიებს გვართმევენ. ეს არის ჩვენი ევროპული ინტეგრაციისკენ სწრაფვის სურვილი, ჩვენი ნატოში გაწევრიანების სურვილი, თუ რა არის? მერე კი ქართველი ხალხი თვითონ გააკეთებს არჩევანს თუ ეს ალტერნატივაა. ტერიტორიული მთლიანობა ურჩევნია მას თუ ნატოში გაწევრიანება, ეს უნდა ვიცოდეთ. როდესაც ჩვენ ვიძახით, რომ ევროინტეგრაციაზე არის საუბარი და ქვეყნის ხელისუფლება რაღაცაზე აწერს ხელს, ის ვალდებულია, რომ უპირველეს ყოვლისა, ეს ქართველ ხალხს გააცნოს. რაზე აწერს სახელმწიფო ხელს, რა ვალდებულებებზე და რა პირობებზე. იმიტომ, რომ ჩვენ ნელ-ნელა ვერკვევით, რომ თურმე ჩვენმა ქართველმა ბიჭებმა სისხლი უნდა დაღვარონ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე და მათ შორის აფრიკაში. როცა აბსოლუტურად გაუგებარია ჩემთვის, ქართველს რა უნდა აფრიკაში კი არა, ევროკავშირს რა უნდა აფრიკაში, ესეც კი გაუგებარია. სად აფრიკა და სად ევროკავშირი? რა კავშირში ვართ, ჩვენი ბიჭები იქ რატომ უნდა მიდიოდნენ და რატომ უნდა იხოცებოდნენ?!

***— ამას გვავალდებულებენ?***

— ჩვენ დეტალურად უნდა ვიცოდეთ, რაზე მოვაწერეთ ხელი, რა არის ჩვენი ვალდებულებები და რას ეწირება ქართველი კაცის სიცოცხლე. რატომ უნდა ჩავარდეს თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში, ეს ჩვენ უნდა ვიცოდეთ! იმიტომ, რომ ჩვენ იმხელა ტერიტორიები გვაქვს დასაბრუნებელი, თუ სისხლის ღვრა არის, მაშინ ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, რაში უნდა დაიღვაროს ქართველი ხალხის სისხლი. ამიტომ ეს პირობები, ეს ვალდებულებები აუცილებლად უნდა იყოს ჩვენთვის ცნობილი. ხელისუფლება ერთპიროვნულად არ უნდა წყვეტდეს, სად დაიღვაროს ქართველის სისხლი! ეს პირობები უნდა იყოს ჩვენთვის ცნობილი და გააზრებული, რა ვალდებულებები აიღეს, რა შეთანხმება დაიდო. კარასინის დონეზე იქნება ეს გარკვეული თუ პუტინის დონეზე, ეს ჩვენ არ გვაინტერესებს, მთავარია, ხელისუფლებამ ქართველ ხალხს უთხრას, რა პოლიტიკის შედეგია ის, რომ დღეს ჩვენი ტერიტორიების კარგვა მიმდინარეობს. ამაზე კი ჩვენ ფაქტიურად რეაქცია არა გვაქვს. აი, ეს არის დღეს ნომერ პირველი პრობლემა ქვეყანაში, რომელზედაც დღევანდელ ხელისუფლებს პასუხი არ გაუცია.



***— სულ მიდიოდა საუბარი იმის თაობაზე, რომ დოკუმენტზე ხელმოწერის წინ საკმაოდ გააქტიურდება და აგრესიული გახდება რუსეთიო. სწორედ ამ შედეგს ხომ არ ვუყურებთ დღეს?***

— მეც მრჩება ასეთი შთაბეჭდილება, რომ ეს ხომ არ არის აი ამისი შედეგი. რომელიმე ჟურნალისტმა იცით ამ პარაფირების ხელშეკრულებაში რა წერია?!

***— დოკუმენტი ჯერ არ გვითარგმნია და არ გამოუქვეყნებია ხელისუფლებას...***

— ხელი რომ მოაწერეს, არ თარგმნეს?! არ იციან რაზე მოაწერეს ხელი?! როგორ, ვიღაცამ არ წაიკითხა? საგარეო საქმეთა მინისტრმა არ იცის შინაარსი თუ რაზეა საუბარი დოკუმენტში?! ამ დოკუმენტზე ერთ ადამიანს ხომ არ აქვს ნამუშევარი, გადაწყვეტილება ერთპიროვნულად ხომ არ არის მიღებული? ის ხომ უნდა გადმოთარგმნილიყო, ამაზე ხომ უნდა ემსჯელათ, აბა, როგორ მიიღეს ეს ხელშეკრულება?! საერთოდ ერის ღირსების შემლახავ დამოკიდებულებასთან ხომ არა გვაქვს საქმე, რომ არც წაუკითხავთ, ისეთ დოკუმენტს მოაწერეს ხელი?! რომელ ენაზე იქნა ის დოკუმენტი წაკითხული თუ არა მშობლიურ ენაზე? ან სად იმსჯელეს ამ დოკუმენტთან დაკავშირებით, რა შესწორება შეიტანეს? რა ხდება ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება, რომ ქართველმა ხალხმა ეს იცოდეს? კონსტიტუციით და საერთაშორისო დეკლარაციებით დემოკრატია არის ის, რომ ხალხი თავის ნებას ახორციელებს ან უშუალოდ თვითონ, ან თავის მიერ არჩეული პოლიტიკური ძალებით. ან ჩვენ უნდა განვახორციელოთ, ხალხმა, ან ჩვენ მიერ დელეგირებული უფლება ვისაც აქვს. მე თუ ჩემი უფლების დელეგირება მოვახდინე ხელისუფლებაზე, ის ვალდებული არ არის, მე გამაცნოს, რაზე ვაწერ ხელს და რა პირობებზე მივდივარ? აი, ეს არის აბსოლუტურად დახურული დღეს ქართველი ხალხისთვის. მე იმას კი არ ვამბობ, შიგ ცუდი წერია ან კარგი წერია, არაფერი არ ვიცით. ლოზუნგი არის აბსოლუტურად გადასარევი, რომ მივდივართ ევროპისკენ, მაგრამ რისკენ მივდივართ? ამ ევროპაში ცუდიც არის და კარგიც არის. ღირებულებები როგორც კარგია, ისე ცუდი. შენ მეუბნები რას ირჩევ, ამ ევროპასთან ინტეგრაციაში რას გულისხმობ? იქნებ ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელ რაღაცებს გულისხმობ. შენ უნდა გამაცნო ეს დოკუმენტი, რომელსაც მე არ ვიცნობ. ეს ერთი, მეორეც, როდესაც ქართველ ხალხს ექნება ამ დოკუმენტზე თავისი პოზიცია გამოხატული და ჩამოყალიბებული და ამავე დროს რუსეთის მხრიდან ხდება მსგავსი ფაქტები, ქართველი ხალხი თვითონ დააყენებს საკითხს, ამ ხელშეკრულებაში ისეთი არაფერი წერია, რასაც შეეძლო რუსეთის აგრესია გამოეწვია. ან ქართველი ხალხი იტყვის, რომ ამ ხელშეკრულებაში არის ისეთი პუნქტები, რამაც შეიძლება ჩვენი ტერიტორიების რღვევა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში ხალხი ჩვენი ხელისუფლებისგან მოითხოვს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, რომ ამან არ ხელყოს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა. ვიმეორებ, უმთავრესი არის ტერიტორიები! ყველაფერი დანარჩენი არის მეათეხარისხოვანი ტერიტორიულ მთლიანობასთან შედარებით. ამიტომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, სად მივდივართ, რისკენ მივდივართ და ისე არ აღმოჩნდეს ამ ლამაზი ლოზუნგების უკან, ჩვენ ვკარგავდეთ და ვშორდებოდეთ ყველაზე მთავარს და ყველაზე ღირებულს, ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას.

ნებას, ამის აღდგენას თუ რა ხდება! იქნებ იქ ის არის ნათქვამი, რომ ჩვენ თვითონ უნდა ვთქვათ უარი ტერიტორიულ მთლიანობაზე და ისე უნდა გავხდეთ ამ ოჯახის წევრი. ეს არჩევანი ხომ უნდა ვიცოდეთ, რა პირობებით მივდივართ იქ? ეს ყველაფერი ჩემთვის არის უცნობი, სანამ არ მეცოდინება ეს პირობები, მანამდე ვერც დადებითად შევაფასებ და ვერც უარყოფითად. პირიქით, დღეს ჩემთვის ის უარყოფითი უფროა, ვიდრე დადებითი. კი, ევროპაში დროსტარება და სეირნობა კარგია, მაგრამ ქვეყანას რა ემუქრება ამის შედეგად, ეს უნდა ვიცოდეთ.

***— ქალბატონო ნანა, ქვეყნის შიგნით არსებული ვითარებაც შევაფასოთ, ახლოვდება ადგილობრივი არჩევნები, ოპოზიცია უკმაყოფილოა საარჩევნო კოდექსით, მინიმალური დათმო ხელისუფლებამო. თქვენ რას ელოდებით ამ არჩევნებისგან, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?***

— ამ არჩევნებისგან მე დიდი მოლოდინები არა მაქვს. თავის მოტყუებაა თუნდაც იმის მტკიცება, რომ წინა არჩევნები იყო დემოკრატიული, ან იმის წინა იყო დემოკრატიული. შეიძლება ეს არჩევნები იყო ოდნავ უკეთესი, ვიდრე სააკაშვილის დროინდელი არჩევნები. როცა სააკაშვილის დროინდელს ვამბობ, აქ შევარდნაძის დროინდელსაც ვგულისხმობ, იმიტომ, რომ სწორედ ჟვანია-სააკაშვილის და გოგორიშვილის გუნდი იყო მაშინაც გამყალბებლები და დამაქცევლები ამ საარჩევნო კანონებისა და დღესაც ეგენი არიან. შეიძლება ოდნავ უკეთესი იყო ეს არჩევნები, მაგრამ ეს ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ ეს არჩევნები იყო თავისუფალი და დემოკრატიული. ეს არჩევნები, რომელიც ამ პერიოდში ჩატარდა, ძალიან შორს იდგა დემოკრატიულობისაგან. ამიტომ დიდი მოლოდინები არც დღეს არა მაქვს. მე არ ვიცი, დღეს ოპოზიციას რამდენად აქვს იმის ძალა და უნარი, რომ წარმატებას მიაღწიოს, ან საზოგადოებამ მხარი დაუჭიროს. თვითონ ოპოზიციაშიც კი მე ვერ ვხედავ ისეთ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც თუნდაც ამ ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით თავის პრინციპულ პოზიციებს აყალბებდნენ და რომელიც საზოგადოებისთვის მისაღები და გასაგები იქნება. თქვენ იცით ასეთი ძალა? მე, მაგალითად, არ ვიცი. არავინ არ მსჯელობს ამ საკითხებზე. ყველა თითქოს არის მორგებული იმაზე, როგორ მოიპოვოს ძალაუფლება და არა იმაზე, ქვეყანა როგორ გამოიყვანოს კრიზისიდან და იმ უბედურებიდან, რომელშიც წინა მთავრობებმა ჩააყენეს. აქედან გამოსავალი არც ოპოზიციას არა აქვს ისეთი, რომელიც საზოგადოებისთვის მისაღები და გასაგები იყოს. როდესაც საზოგადოება დაინახავს, რომ ისინი მართლაც საზოგადოების და ქვეყნის ინტერესებზე არიან ორიენტირებულნი, ეს ნებისმიერ საარჩევნო კოდექსზე უკეთესად იმუშავებს მათი გამარჯვებისთვის არჩევნებში.

**ეს 6 კილომეტრი იქნება თუ 8 კილომეტრი, სადაც იბმება ეს მავთულხლართები, რუსეთისთვის არ არის ის, რასაც ტერიტორიების საჭიროება და მიტაცება ჰქვია, იგივე, რა დატვირთვაც აქვს მათთვის აფხაზეთსა თუ ცხინვალს. მე მგონი, ეს არის იმის სიგნალი, რომ საქართველოს ხელისუფლება არასწორი პოლიტიკური კურსით აგრძელებს თავის არსებობას და არასწორი პოლიტიკური კურსით მართავს ქვეყანას. ეს არის ამაზე მინიშნება და მითითება.**

***— თქვენი აზრით, ვდგავართ ამ საფრთხის წინაშე?***

— ამიტომ ვიძახი, რომ ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია და მიუღებელია ის პოზიცია, რომელიც დღეს ხელისუფლებას აქვს — იგნორირება, მიყრუება, თითქოს არაფერი არ ხდებოდეს. ეს მავთულხლართები თანდათან რომ მოიწევს აქეთკენ და ლამის პარლამენტთან გაუჭიმონ ეს მავთულხლართები, რას ნიშნავს ეს, ამაზე რეაქცია რომ არაა?! თუ ჩვენ აფრიკაში უნდა ვიომოთ და იქ უნდა ვღვაროთ სისხლი, მაშინ ევროკავშირს რა წვლილი შემოაქვს იმაში, რომ ჩვენი ტერიტორიები ასეთ მდგომარეობაშია? მე, როგორც მოქალაქეს, მაინტერესებს, წავიკითხო ამ დოკუმენტში ამის თაობაზე თუ არის რამე ნათქვამი. მპირდება ამ ყველაფრის დაბრუ-

# ანდერს ბრეივიკს ახალ ვიდეოთამაშებზე უარი უთხრეს

ნორვეგიის სამართალდამცავებმა ანდერს ბრეივიკის მოთხოვნების შესრულებაზე უარი განაცხადეს, — იტყობინება „ინდეპენდენტი“.

შეგახსენებთ, რომ ტერორისტმა მოითხოვა ციხის პირობების გაუმჯობესება, ახალი ვიდეოთამაშები, ძველი საბეჭდი მანქანა და სავარძელი.

პოლიციელებმა განაცხადეს, რომ შეისწავლეს ბრეივიკის მოთხოვნები და მივიდნენ დასკვნამდე, — ასეთი პირობების შექმნა კანონსაწინააღმდეგოა.

ანდერს ბრეივიკი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის შიმშილობის დაწყებით იმუქრება. ბრეივიკი, რომელმაც 2011 წელს 77 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ამბობს, რომ მისი ციხეში საცხოვრებელი პირობები არის წამება. ნორვეგიელმა პატიმარმა ციხის ხელმძღვანელობას წერილობით მიმართა, სადაც ათეულობით ჩამოთვლილ მოთხოვნათა შორის ის ითხოვს, მისთვის გამოყოფილი სათამაშო მოწყობილობა „ფლეისთეიშენ 2“ უფრო თანამედროვე „ფლეისთეიშენ 3-ით“ შეუცვალონ.

„სხვა პატიმრებს ხელი მიუწვდებათ მოზარდთათვის განკუთვნილ ვიდეოთამაშებზე, ხოლო მე შემიძლია ვითამაშო მხოლოდ ნაკლებად საინტერესო ბავშვებისთვის განკუთვნილი ვიდეოთამაშები“, — წერს ანდერს ბრეივიკი.

გარდა ამისა, ბრეივიკი ასევე ითხოვს მისი ყოველკვირეული ანაზღაურების, 36 ევროს გაორმაგებას.

„თქვენ მე ჯოჯოხეთში მამყოფებთ და ასეთ პირობებში დიდხანს ვერ გადავრჩები. თქვენ მე მკლავთ. შიმშილობას არ შევწყვეტ, ვიდრე ნორვეგიის იუსტიციის მინისტრი ანდერს ანუნდსენი და პენიტენციალური საქმეების ხელმძღვანელი არ შეწყვეტენ ჩემს მიმართ ცხოველივით მოპყრობას“, — წერს ბრეივიკი ციხის ხელმძღვანელობისადმი მიწერილ წერილში.

2011 წლის 22 ივლისს ანდერს ბრეივიკმა აფეთქება მოაწყო ოსლოს სამთავრობო კვარტალში, რასაც 8 ადამიანი ემსხვერპლა. იმავე დღეს მან კუნძულ უტოიაზე, ახალგაზრდების ბანაკში 69 ადამიანი მოკლა, მათ შორის ქართველი სტუდენტი თამთა ლიპარტელიანი.

ანდერს ბრეივიკს სასამართლომ 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასამართლოში სიტყვით გამოსვლისას ბრეივიკმა განაცხადა, რომ იგი ჩადენილს არ ნანობს და საშუალება რომ ჰქონდეს, ყველაფერს თავიდან გააკეთებდა.

გ. ძ.



2014, 26 თებერვალი, №47

# კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

ეკა ირემაშვილი



**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. სააგენტოს ახალ გენერალურ დირექტორად ნიკოლოზ ანთიძე დაინიშნა.**

– 2002 წლიდან ნიკოლოზ ანთიძე ძეგლთა დაცვის სფეროში იკავებდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებს. ნიკოლოზ ანთიძე არის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანაავტორი, კულტურული მემკვიდრეობის დარგში მრავალი საერთაშორისო პროექტის მონაწილე. ის დღემდე მუშაობდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის, ხოლო მოგვიანებით კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის უფროსად. ამავე სააგენტოში ხელმძღვანელობდა დაცული ტერიტორიებისა და მონიტორინგის სამსახურს. იყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, მონიტორინგისა და პრევენციული კონსერვაციის სამმართველოს უფროსი; არის ამავე სამინისტროს „მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის" თავმჯდომარის მოადგილე; სამინისტროსთან არსებული „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს" არქეოლოგიური სექციის წევრი; იკავებს სამინისტროში „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ჩატარებული, არქეოლოგიური სამუშაოების მიმღები კომისიის" თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას. ნიკოლოზ ანთიძე იყო კულტურული მემკვიდრეობის სამართლის ლექტორი თბილისის სამხატვრო აკადემიის, რესტავრაციის, ხელოვნებისა და თეორიის ფაკულტეტზე; ხელმძღვანელობდა საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის იურიდიულ განყოფილებას; მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვლევის ცენტრში უფროსი ლაბორანტის, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის, სამხედრო საქმის წარმოების ინსპექტორის თანამდებობებზე. მანამდე კი სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, თურქეთის ისტორიის სპეციალობის განხრით; დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტი; მიღებული აქვს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სერტიფიკატი, ასევე მიიღო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული, დსთ-ს ქვეყნებთან ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის სერტიფიკატი, – ნათქვამია გურამ ოდიშარიას განცხადებაში.

რაც შეეხება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილ ხელმძღვანელს მერაბ ბოჭოიძეს, ის გურამ ოდიშარიას უწყებაში განხორციელებული საკადრო ცვლილებით დაინიშნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩევლად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში.

# ნინელი ჭანკვეტაძე ტანგოს იცეკვებს

ეკა ირემაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე ტანგოს იცეკვებს. ამის მიზეზი თეატრში დაგეგმილი პრემიერაა. „მაცეკვე ტანგო" – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელსაც მაყურებელი პირველად 28 თებერვალს იხილავს.

– თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი, თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით, წარმოგიდგენთ პრემიერას სპექტაკლისა „მაცეკვე ტანგო", რომელიც რეჟისორმა მამუკა ტყემალაძემ ნინო მირზიაშვილის პიესის მიხედვით განახორციელა. მხატვარია ნინო კიტია, მუსიკალური გამფორმებელი – ანი მურღულია, ვიდეოგრაფიკის ავტორი ირაკლი ზურაბიშვილია, ქორეოგრაფი – მარინა ალექსიძე, ტექნიკური რეჟისორი კი ხათუნა ჯამათაშვილი, – აცხადებს კინომსახიობთა თეატრის პიარმენეჯერი მაკა პეტრენკო.

მისივე თქმით, სპექტაკლში მონაწილეობენ ნინელი ჭანკვეტაძე, ზაზა მიქაშავიძე, გია აბესალაშვილი, ქეთი ასათიანი, ბექა ჯუმუტია და ჯაბა სულაკაძე.



– 2012 წელს თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა, ქალაქ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა და მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდმა დაიწყო განხორციელება ერთობლივი პროექტისა „ახალი ქართული პიესა", რომელიც გულისხმობდა სამ ეტაპს: პირველ ეტაპზე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდმა გამოაცხადა კონკურსი „ახალი ქართული პიესა". ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებული პიესა ნინო მირზიაშვილის „მაცეკვე ტანგო". მეორე ეტაპზე თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა გამართა კონკურსში მონაწილე საუკეთესო 12 პიესის „საჯარო წაკითხვა". მესამე ეტაპზე კი თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის სცენაზე გაიმართება კონკურსში გამარჯვებული პიესის „მაცეკვე ტანგო" პრემიერა, – აცხადებს მაკა პეტრენკო.

როგორც თეატრის პიარმენეჯერი განმარტავს, პიესის ავტორი ნინო მირზიაშვილი პროფესიით დრამატურგი არ არის:

– ის დიზაინერია და ეს იყო მისი პირველი და წარმატებული მცდელობა დრამატურგიის ურთულეს სფეროში. „მაცეკვე ტანგო" მაშინვე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. დაიბეჭდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება", წარმატებული იყო საჯარო წაკითხვის დროს, კინომსახიობთა თეატრში, რამდენიმე რეჟისორის ინტერესის საგანი გახდა, თუმცა პირველი დადგმის უფლება კინომსახიობთა თეატრს მიენიჭა. „მაცეკვე ტანგოს" შეიძლება სიტუაციათა კომედია ეწოდოს, მაგრამ პიესა ბევრად უფრო მნიშვნელოვან სათქმელს შეიცავს. ადამიანთა ურთიერთობა მეოცე საუკუნის ძირითად პრობლემად იქცა და გაუცხოება არა ფილოსოფიური, არამედ ყოფითი სახით შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. ნინო მირზიაშვილის პიესაში ორი ოჯახის ისტორია შემთხვევით შეეჯახა ერთმანეთს და ამ შემთხვევითობამ ორივეს ცხოვრება შეცვალა. კინომსახიობთა თეატრის ხუთი შესანიშნავი მსახიობი რეჟისორ მამუკა ტყემალაძესთან ერთად გვიამბობს, რა ხდება მათი გმირების თავს, – განმარტავს მაკა პეტრენკო.

კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **ქეთი დოლიძე:**

– მამუკა ტყემალაძის „მაცეკვე ტანგო" მსახიობების არჩევანით იდგმება, ხაზს ვუსვამ, ეს ჩემი არჩევანი არ არის, მათ მოეწონათ სიტუაციური კომედია და მთხოვეს, თუ შეიძლება, ერთ-ერთმა რეჟისორმა დადგას ჩვენთანო. საერთოდ, არ მიყვარს ასეთი გადაწყვეტილებები, რადგან პირველ რიგში თეატრზე უნდა იფიქრო. არ შეიძლება, მსახიობებმა მიიღონ ერთპიროვნული გადაწყვეტილება და მოიწვიონ რეჟისორი, რომელიც კაბინეტშიც კი არ შემოდის შენთან, რომ დაგელაპარაკოს. ამ შემთხვევაში მსახიობებისთვის დავუშვი გამონაკლისი.

# ნიჭიერთა ათწლედი" 80 წლისაა

ეკა ირემაშვილი

ნიჭიერთა ათწლედი 80 წლისაა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, 2 მარტს, თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის" 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საქველმოქმედო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სულხან ცინცაძის სახელობის ეროვნული სიმებიანი კვარტეტი კონსტანტინე ვარდელის (პირველი ვიოლინო), თამაზ ბათიაშვილის (მეორე ვიოლინო), ნოდარ ჟვანიას (ალტი) და ოთარ ჩუბინიშვილის (ჩელო) შემადგენლობით. მათთან ერთად კონცერტზე დაუკრავს საერთაშორისო კონკურსებისა და ფესტივალების გრანპრის, 2013 წლის „ოქროს მაკნატუნას" მფლობელი, 12 წლის პიანისტი დავით ხრიკული (დამსახურებული პედაგოგის დოდო ცინცაძის კლასი). კონცერტში ასევე მონაწილეობს ირინა ხოშტარია-ჯაიანი (ალტი).

ნიჭიერთა ათწლედის საიუბილეო კონცერტის პროგრამაშია იოჰანეს ბრამსის სიმებიანი კვინტეტი №2 და რობერტ შუმანის საფორტეპიანო კვინტეტი.

საქველმოქმედო კონცერტზე დასასწრები ბილეთების ფასი 5-10 ლარია. შემოსული თანხა „ნიჭიერთა ათწლედის" მოსწავლეთა მხარდაჭერის ფონდში გადაირიცხება.

# მოხუცი ჯამბაზები" დაბრუნდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– დიახ, ისევ რუსთაველის თეატრში. ეს სპექტაკლი თავის დროზე სწორედ რუსთაველის თეატრში იქ მოღვაწე გამოჩენილი მსახიობებისთვის დაიდგა.

***– ვინ შეცვალა გურამ საღარაძე?***

– მსახიობმა თენგიზ გიორგაძემ. პრემიერას ამ შაბათ-კვირას, პირველ და ორ მარტს ვითამაშებთ.

***– ახალ სპექტაკლზეც მუშაობთ რუსთაველის თეატრში?***

– ჯერ არა, თუმცა აღდგენილი „მოხუცი ჯამბაზები" განახლებული დადგმა იქნება. ამ სპექტაკლში ფინალს ვცვლით და ვნახოთ, როგორი გამოვა. ბატონი რობერტი რომ ჩამოვა, დავილაპარაკებთ და შეიძლება, ახალ სპექტაკლზეც დავიწყო მუშაობა რუსთაველის თეატრში.

***– „მოხუცი ჯამბაზები" ყოველთვის ანშლაგით მიდიოდა. ახლაც არის ინტერესი?***

– ბილეთები მართლაც არ იშოვებოდა ხოლმე და ახლაც იგივე მდგომარეობაა.

***– ისევ გიწევთ ბილეთების ყიდვა საკუთარ სპექტაკლზე?***

– უკვე მიწევს. ჩემთვის დიდი სიხარულია, რომ ასეთი მოლოდინი ჰქონდა მაყურებელს და ისევ დიდი ინტერესია „მოხუცი ჯამბაზების" მიმართ.

***– აზერბაიჯანის თეატრში რა მდგომარეობაა?***

– იქაც ვერ არის სიტუაცია სტაბილურად, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჯერჯერობით „ძერჟიმსია".

***– ბაქოში როდის მიდიხართ?***

– ბაქოში მარტში უნდა დავიწყო სპექტაკლზე მუშაობა. ჯერ ისტორიულ დრამას ვაკეთებ აზდრამაში – აზერბაიჯანის დრამატულ თეატრში. პარალელურად, იქვე მუსიკალურ თეატრში „ხანუმას" აღდგენებს დავიწყებ.

***– ბატონო გოჩა, თქვენ ცხინვალის თეატრის გამაფრთხილებელ აქციაზეც იყავით...***

– ნამდვილად ვიყავი, იმიტომ, რომ ამ თეატრში არაერთი სპექტაკლი მაქვს დადგმული და იქაურობა ძალიან მიყვარს. თეატრი მძიმე მდგომარეობაშია და დახმარება და ყურადღება სჭირდება. ბოლოს დავდგი დათო ტურაშვილის „მატარებელი", რომელსაც 26 თებერვალს ვითამაშებთ გორში გორის ერისთავის სახელობის თეატრში. ასევე გვინდა, ეს სპექტაკლი ვითამაშოთ საზღვრისპირა ადგილებში, უფრო მასშტაბური და დიდი აქციის მოწყობას ვგეგმავთ.

***– კიდევ დადგამთ ცხინვალის თეატრში სპექტაკლს?***

– რა თქმა უნდა. დავიწყებ მუშაობას „ჯაყოს ხიზნებზე".

***– ამდენ რამეს ერთდროულად როგორ ასწრებთ?***

– უსაქმოდ ყოფნას, ისევ შრომა მირჩევნია. მუშაობა ჩემთვის უმთავრესია, შენი მუშაობა იწვევს სხვის მუშაობასაც და ეს უკვე სასიხარულოა.



**წლის და 9 თვის ელისაბედ დარჩიას სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი მკურნალობა საზღვარგარეთ, შესაძლოა დასჭირდეს განმეორებითი ოპერაციაც. გოგონა დაიბადა შინაგანი ჰიდროცეფალიის დიაგნოზით, ჩატარებული აქვს თავის ტვინის შუნტირება, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ელისაბედს ჰყავს სრულიად ჯანმრთელი ტყუპისცალი ძმა. უმორჩილესად გთხოვათ, თუნდაც მცირედით დავეხმაროთ პატარა ელისაბედს:**

**თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია „ლიბერთი ბანკის" ანგარიშზე: GE95LB0711115428681940**

**☎ 577-544-222, 598-204-570**


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ვაკეთებ ბინების რემონტს: სამღებრო სამუშაოებს (სამალიარო), „გიფსო-კარდონს", ვაგებ ლამინატს და ასევე ვაკეთებ „სტიაშკას", უმაღლესი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 598-24-40-90 დათო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ნერწყვანას), ნაოჭებს, ლაქებს, ხებრებს, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (ენერგეტიკური) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

# ფაჩულიას „მილუოკიმ“ ფილადელფიაში დამაჯერებლად იმარჯვა



ზაზა ფაჩულიას „მილუოკიმ“ მიმდინარე სეზონის ყველაზე შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა. მილუოკელებმა ფილადელფიაში „სიქსერსი“ დაიბრიყვეს და მთელი 20 ქულით მოუგეს – თან მეტოქეს მთელი 130 ქულა ჩაუგდეს. „ხარირმებმა“ მეტოქე მეორე მეოთხედში გატეხეს, რომელიც 43:16 მოიგეს და საბოლოოდ შთამბეჭდავი გამარჯვებაც გაიფორმეს – 130:110.

სამწუხარო ისაა, რომ 130 ქულიდან ქართველი კალათბურთელის ანგარიშზე მხოლოდ 2 ქულაა. ზაზა სასტარტო ხუთეულში იყო, მაგრამ მოედანზე 18,13 წუთი იმყოფებოდა. ფაჩულიამ 3-დან 1 ორქულიანი ჩააგდო და 2 ქულას 9 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაყოლა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა. მილუოკელთაგან 25 ქულით ბომბარდირი ოჯეი მაიო გახდა, ერსან ელიასოვამ კი 20 მიითვალა.

45 წაგების მქონე „მილუოკისთვის“ ეს გახლდათ მე-11 გამარჯვება. მომდევნო მატჩი ფაჩულიას გუნდს 27 თებერვალს, ნბა-ს ლიდერთაგან „ინდიანასთან“ ინდიანაპოლისში ელის.

# ლევან კობიაშვილი: ბაიერნის კარში გატანილი გოლი ყველაზე სასიამოვნოა“

**საქართველოს ნაკრების ყველაზე უხვმატჩიანმა ფეხბურთელმა ლევან კობიაშვილმა „შტუტგარტის“ კარში ბუნდესლიგაში 32-ე გოლი გაიტანა. ავტორიტეტულმა გერმანულმა გამოცემა „კიკერმა“ ქართველი მცველი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა, ხოლო „სპორტ-ექსპრესმა“ ტურის გმირად აღიარა და ინტერვიუც ჩამოართვა.**

***– მიმდინარე სეზონში პირველი გოლი გაიტანეთ. როგორი შეგრძნებაა?***

– გოლი როდესაც გაგაქვს, თავს ყოველთვის კარგად გრძნობ. მით უმეტეს, როდესაც მცველი ხარ და გაიტან, უფრო სასიამოვნოა. თუმცა, მთავარია, რომ გუნდმა მოიგო.

***– ბუნდესლიგაში ჩატარებულ მატჩებში 32 გოლი გაიტანეთ. პირველი გოლი გახსოვთ?***

– რა თქმა უნდა. ეს 1998 წლის დეკემბერში მოხდა, როდესაც „ფრაიბურგში“ ვთამაშობდი. „ნიურნბერგს“ ჯარიმიდან გავუტანე და 1:0 მოვიგეთ.

***– მაშინ უფრო გაგეხარდათ თუ ახლა?***

– ფეხბურთელისთვის ნებისმიერი გოლი სასიამოვნოა. შედარება არ მინდა.

***– ბუნდესლიგაში გატანილი გოლებიდან ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?***

– „შალკეში“ თამაშის დროს, 2006 წლის მოწურულს „ბაიერნს“ ვმასპინძლობდით. სტადიონზე არცთუ სასურველი სიტუაცია იყო, რადგან ზედიზედ რამდენიმე მატჩი წავაგეთ და ნაწყენი გულშემატკივრები მხარს დემონსტრაციულად არ გვიჭერდნენ. მაშინ, დაახლოებით 20 მეტრიდან ოლივერ კანს გავუტანე და „შალკე“ 2:0 დაწინაურდა. საწყენია, რომ ანგარიში ვერ შევინარჩუნეთ და საბოლოოდ, თამაში 2:2 დასრულდა.

***– ბუნდესლიგაში 344 მატჩი ჩაატარეთ. უცხოელებიდან ამაზე მეტჯერ მხოლოდ „ბაიერნის“ ფორვარდს პისაროს უთამაშია – 362. პერუელის გასწრება არ გსურთ?***

– ვფიქრობ, ეს ძალიან რთული იქნება. თუ გამომივა, ხომ კარგი, არადა – ტრაგედიას ვერ ვხედავ. ბუნდესლიგაში ისედაც ბევრი ვითამაშე, რაც მახარებს. ჩემთვის მნიშვნელოვანი არაა, კარიერის დასრულების მერე, ბუნდესლიგაში ჩატარებული მატჩების რაოდენობით ლეგიონერებს შორის რომელ ადგილზე ვიქნები.

***– მომავალ სეზონში კვლავ ითამაშებთ?***

– ჯერ ზუსტად არ ვიცი. რაიმე კონკრეტულს მხოლოდ ორი თვის შემდეგ ვიტყვი. ახლა თამაში მსიამოვნებს და გუნდს მთელ ძალას ვახმარ.

***– გასულ სეზონში „ჰერტა“ მეორე ბუნდესლიგაში იყო, ხოლო ახლა ევროთასებზე მოხვედრის პრეტენდენტია. ასეთი პროგრესი რამ გამოიწვია?***

– მას შემდეგ, რაც ბუნდესლიგიდან გავარდით, გუნდში ბევრი რამ შეიცვალა. რაც მთავარია, ახალი მწვრთნელი იოს ლუხუკაი მოვიდა, რომლის ხელმძღვანელობით „ჰერტა“ პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნდა. ვფიქრობ, ის ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. გუნდში კარგი სამუშაო ვითარებაა და ყველა კმაყოფილია.

***– მიმდინარე სეზონში 14 გოლი ადრიან რამოსმა გაიტანა, რომელიც ლევანდოვსკისთან ერთად ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში ლიდერობს. ამბობენ, რომ მან შესაძლოა დორტმუნდში პოლონელი ფორვარდიც კი შეცვალოს, რომელიც „ბაიერნში“ გადავა. ალბათ, რამოსი ამჟამად „ჰერტას“ ლიდერია?***

– ადრიანი კარგად თამაშობს, „ჰერტას“ ბევრი ქულა მოუტანა და ამ სეზონში ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირებშია. გუნდის კარგად თამაშის ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ ჩვენ რიგებში რამოსის ყოფნაა. ყოველ გუნდს სჭირდება ისეთი თავდამსხმელი, რომელიც სეზონში 15-20 გოლს გაიტანს.

***– ლევანდოვსკის წინააღმდეგ გითამაშიათ. ის როგორ უნდა შეაჩერო?***

– შემიძლია ზუსტად გითხრათ, რომ ეს იოლი არაა. პოლონელი ამჟამად ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. „ბაიერნმა“ ტყუილუბრალოდ ხომ არ აიყვანა, სადაც უკვე ზაფხულში გადავა. თუმცა, მეჩვენება, რომ მიმდინარე სეზონში ისე კარგად არ გამოიყურება, როგორც გასულში.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-ვილიარეალი ............. 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 25 | 20 | 3 | 2 | 71-24 | 63 |
| 2.ბარსელონა | 25 | 19 | 3 | 3 | 70-20 | 60 |
| 3.ატლეტიკო | 25 | 19 | 3 | 3 | 59-19 | 60 |
| 4.ბილბაო | 25 | 14 | 5 | 6 | 45-30 | 47 |
| 5.ვილიარეალი | 25 | 13 | 4 | 8 | 46-30 | 43 |
| 6.სოსიედადი | 25 | 12 | 7 | 6 | 46-35 | 43 |
| 7.სევილია | 25 | 9 | 8 | 8 | 43-41 | 35 |
| 8.ვალენსია | 25 | 10 | 5 | 10 | 38-36 | 35 |
| 9.ლევანტე | 25 | 8 | 9 | 8 | 24-31 | 33 |
| 10.ესპანიოლი | 25 | 9 | 5 | 11 | 29-32 | 32 |
| 11.სელტა | 25 | 8 | 6 | 11 | 32-36 | 30 |
| 12.ოსასუნა | 25 | 8 | 5 | 12 | 24-37 | 29 |
| 13.გრანადა | 25 | 8 | 3 | 14 | 22-32 | 27 |
| 14.ელჩე | 25 | 6 | 8 | 11 | 22-37 | 26 |
| 15.ხეტაფე | 25 | 7 | 5 | 13 | 23-40 | 26 |
| 16.ალმერია | 25 | 7 | 5 | 13 | 24-42 | 26 |
| 17.მალაგა | 25 | 6 | 7 | 12 | 23-34 | 25 |
| 18.ვალიადოლიდი | 25 | 4 | 10 | 11 | 27-43 | 22 |
| 19.რაიო | 25 | 6 | 2 | 17 | 25-59 | 20 |
| 20.ბეტისი | 25 | 3 | 5 | 17 | 20-55 | 14 |

### იტალია. სერია ა

პარმა-ფიორენტინა ...................... 2:2

ნაპოლი-ჯენოა ............................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 25 | 21 | 3 | 1 | 60-19 | 66 |
| 2.რომა | 24 | 17 | 6 | 1 | 49-11 | 57 |
| 3.ნაპოლი | 25 | 15 | 6 | 4 | 50-28 | 51 |
| 4.ფიორენტინა | 25 | 13 | 6 | 6 | 45-28 | 45 |
| 5.ინტერი | 25 | 10 | 10 | 5 | 43-29 | 40 |
| 6.ვერონა | 25 | 12 | 3 | 10 | 43-42 | 39 |
| 7.პარმა | 24 | 9 | 10 | 5 | 38-29 | 37 |
| 8.ტორინო | 25 | 9 | 9 | 7 | 39-32 | 36 |
| 9.მილანი | 25 | 9 | 8 | 8 | 39-35 | 35 |
| 10.ლაციო | 25 | 9 | 8 | 8 | 33-34 | 35 |
| 11.ჯენოა | 25 | 8 | 8 | 9 | 28-32 | 32 |
| 12.უდინეზე | 25 | 8 | 4 | 13 | 29-36 | 28 |
| 13.სამპდორია | 25 | 7 | 7 | 11 | 27-37 | 28 |
| 14.ატალანტა | 25 | 8 | 4 | 13 | 25-37 | 28 |
| 15.კალიარი | 25 | 5 | 10 | 10 | 23-35 | 25 |
| 16.კიევო | 25 | 5 | 6 | 14 | 19-35 | 21 |
| 17.ბოლონია | 25 | 4 | 9 | 12 | 22-41 | 21 |
| 18.ლივორნო | 25 | 5 | 5 | 15 | 26-45 | 20 |
| 19.კატანია | 25 | 4 | 7 | 14 | 19-43 | 19 |
| 20.სასუოლო | 25 | 4 | 5 | 16 | 25-54 | 17 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კიოლნი-ფიურტი ......................... 1:1

### პორტუგალია. ა ლიგა

ბენფიკა-გიმარაეში ..................... 1:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ელაზიგი-ფენერბახჩე ................... 1:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

კალონისი-პანეთოლიკოსი ............ 3:1

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

სპარტა-ბრნო .............................. 4:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ზავიშა-ლეჩნა ............................. 0:3

### დანია. სუპერლიგა

ესბიერგი-ნორდსიელანდი ............ 2:1

# ლევან ყიფიანი: სპორტის სამყოფი ფული ბუნებაში არ არსებობს“

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ – პროექტის ფარგლებში პრესკონფერენცია გამართა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მთავარი მისია სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაციაა.

ამისათვის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო უწყებათშორისი კომისიის ფარგლებში მუშაობს როგორც სპორტის სახელმწიფო დოკუმენტის, ასევე ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაზე.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი ამოცანებია:



სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ჩამოყალიბება; ქვეყნის ზოგადი განათლების სისტემაში ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ხელშეწყობა; ქვეყანაში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფა; საქართველოში სპორტული განათლებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარება.

სამინისტრომ სპორტის მასობრიობის გაზრდა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად დაისახა – შეიქმნა ახალი პროგრამები, რომლებიც სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სპორტის ხელშეწყობას ითვალისწინებს. სპორტულ ფედერაციებს კი მიეცათ რეკომენდაცია ბავშვთა და ახალგაზრდული სპორტის განვითარებისთვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ განვლილი ორი თვის განმავლობაში ქართველმა სპორტსმენებმა საერთაშორისო სარბიელზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს – საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიოს თასის საგზური მეოთხედ მოიპოვა, წყალბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფში თურქეთის ნაკრებს 8:4 მოუგო და ევროპირველობის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ნაბიჯი აშორებს, ძიუდოისტთა ნაკრებმა კი პარიზის დიდ სლემზე 1 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვა...

ამავე პერიოდში, სახელმწიფოს მხრიდან ფეხბურთის და რაგბის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. რაგბის კავშირის ბიუჯეტი კი 300%-ით გაიზარდა და 2014-2016 წლებში რაგბის კავშირი 33.673.968 ლარს მიიღებს. პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, საბაზო დაფინანსება ექნება პირველი ლიგის გუნდებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქვეყანაში ბავშვთა რაგბის განვითარებას.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა კომისია, რომელიც ფეხბურთის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაზე იმუშავებს. კომისიის ძირითადი ამოცანებია: ფეხბურთის განვითარების 5 წლიანი გეგმის შემუშავება; ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაგეგმვა; მასობრივი ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა; უეფას სუპერ თასის 2015-ის მოსამზადებელი სამუშაოების კოორდინაცია; სამინისტროს 2014 წლის ერთ-ერთი პრიორიტეტია სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში მინაწილეობა; ამ მიმართულებით დაწყებულია შემდეგი სპორტული ობიექტების დაპროექტება:

ოლიმპიური აუზი – დიღომი „ახალი სპორტული ქალაქის ტერიტორია“;

საპროექტო სამუშაოები დასრულდება 2014 წლის 1 მარტს, ხოლო მშენებლობა დასრულდება 2015 წლის მარტში;

წყალტუბოს სტადიონი (ორი მოედანი და მძლეოსნობის ბილიკები);

საპროექტო სამუშაოები დასრულებულია, ხოლო მშენებლობა დასრულდება 2015 წლის მაისში;

მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსი (2 დარბაზიანი) – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი;

მიმდინარეობს პროექტირება, ხოლო მშენებლობა დასრულდება 2015 წლის მარტში 2015 წელს მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობა დაგეგმილია – თელავში, ფოთში, ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში.

**ლევან ყიფიანი:**

– დავიწყებ იმით, რომ დღეს იუნკრების ხსენების დღეა, რომელთა შორის ბევრი იყო სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წევრები.

მიმდინარე წელი კი ძალიან აქტიური იქნება, რადგან იქმნება პოლიტდოკუმენტი, რომელიც ქართული სპორტის წინსვლაზეა გათვალისწინებული. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ამ დოკუმენტზე რამდენიმე სამინისტრო მუშაობდა და სწორედ მათმა ერთიანობამ მოგვცა მომავლის პროექტები. გარდა ამისა, მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ქართულ თუ უცხოურ ორგანიზაციას, რომელიც აქტიურად იყო ჩართული პროცესებში.

ახლა მთავარია ამუშავდეს სამომავლო გეგმა. საჭიროა სპორტის კანონის გარკვეულწილად შეცვლა, რომელიც 1996 წელს არის შექმნილი. ასევე უმთავრესია ჯანსაღი ცხოვრების წესი და ეს არ არის მარტო მისია – აქ სპორტმა უნდა ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი. უნდა ვიზრუნოთ მასობრიობაზე. თუ აქამდე სპორტში ჩართული იყო 33-35 ათასი ადამიანი, ეს რიცხვი უნდა გაიზარდოს 120.000-მდე. ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლებსა და ინსტიტუტებში, რაზეც განათლების სამინისტროსთან ერთად უკვე ვმუშაობთ. დაგეგმილია სპორტული ფესტივალები სკოლებში.

რაც შეეხება პროფესიულ სპორტს: მთავრობის გადაწყვეტილებით, რაგბის დაფინანსება 300 პროცენტით გაიზარდა და ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. არანაკლებ გამოსარჩევია წყალბურთელთა წარმატება, რომელთაც ერთი ნაბიჯი უკლიათ ევროპის ჩემპიონატამდე. საკმაო სამუშაოა ჩასატარებელი კალათბურთის კუთხითაც და ვცდილობთ, ყველა სფერო უნდა მოვიცვათ... ძიუდო, ჭიდაობის სახეობები, ფეხბურთი... განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ეროვნული ჩემპიონატები, რათა გადინებები არ მოხდეს მესამეხარისხოვან ლიგებში.

გამოიკვეთა 3 პრიორიტეტი – ინფრასტრუქტურა, სპორტული განათლება და სპორტული კანონმდებლობა. ამაში სამინისტრო აქტიურად არის ჩართული და მალე რამდენიმე ობიექტს შევთავაზებთ საზოგადოებას. პირველ რიგში, ოლიმპიურ აუზს და ორდარბაზიან მულტიფუნქციურ სპორტულ კომპლექსს, რომლის მსგავსი შემდეგ 5 რეგიონში აშენდება. წყალტუბოში გაკეთდება 2 სტადიონი. თავიდან გათვლილი იყო ერთზე, მაგრამ ვიმსჯელეთ და დავადგინეთ, რომ წყალტუბოს არ სჭირდება დიდი და გრანდიოზული სტადიონი, სამაგიეროდ, გაკეთდება 1.500 კაციანი უეფას სტანდარტების მქონე არენა, რომელსაც შეეძლება უეფას მატჩების მასპინძლობა. ამან საშუალება მოგვცა აგვეშენებინა მეორე სტადიონი.

სექტემბრიდან გვინდა 250-300 სტუდენტი მივიღოთ აკადემიაში, რომელიც წელს დაიწყებს ფუნქციონირებას. ამით გვინდა სპორტულ სფეროს მეტი განათლებული ადამიანი მივცეთ.

გვინდა ასევე გამოვარჩიოთ ასევე ყბადაღებული თემა ფედერაციებთან დაკავშირებით – დანიშვნები, ჩარევა... ჩვენ ვთანამშრომლობთ ყველა ფედერაციასთან და გავდივართ კონსულტაციებს, ეს არ ნიშნავს, რომ ვერევით მათ საქმიანობაში. მთავრობა მოტივირებულია, დაეხმაროს სპორტს და მის განვითარებას. სპორტი ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრიორიტეტულ ხუთეულში შევიდა. იქ უმთავრესია სოფლის მეურნეობა, განათლება და ჯანდაცვა. აქედან ორთან სპორტს მჭიდრო ურთიერთობა აქვს.

ამის შემდეგ საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

***– ცნობილია ის გუნდი, რომელიც ფეხბურთის განვითარების პროგრამას უხელმძღვანელებს. როდის დაიწყება კონკრეტული მუშაობა?***

– პრემიერი ამჟამად საქართველოში არ იმყოფება და მისი ჩამოსვლისთანავე იქნება შეხვედრა. ასევე არ გამოვრიცხავ, რომ სამუშაო გუნდი კიდევ უფრო გაიზარდოს.

***– რაგბსა და ფეხბურთს სოლიდური თანხები გამოეყოთ. არ არის გამორიცხული, იგივე მოითხოვონ სხვა წარმატებული სპორტის სახეობებმა – კალათბურთი, წყალბურთი, ძიუდო... საიდან ასეთი დაფინანსება?***

– ამას მარტო სახელმწიფო რომ ვერ გასწვდება, ფაქტია, რადგან ბუნებაში არ არსებობს სპორტისთვის საკმარისი ფინანსები. საქმეში უნდა ჩაერთოს კერძო სექტორიც, მიუხედავად იმისა, რომ სპორტში თანხების ხარჯვა გამართლებული არ არის. სპორტი დღეს ბიზნესი არ არის და კიდევ 10 წელი ვერ იქნება.

***– რა მოგვცა ახლახან დასრულებულმა ზამთრის ოლიმპიადამ?***

– ვარეგულირებთ ურთიერთობებს ჩვენს მეზობლებთან და ჩვენი გათვლაც სწორედ ეს იყო. ასევე აუცილებლად უნდა ფრიალებდეს საქართველოს დროშა დიდ ფორუმებზე. რაც შეეხება ზამთრის ოლიმპიადას, წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კუთხით შეგვიძლია უკეთესი სამუშაობები გავწიოთ. საქართველოს 65 პროცენტი მთიანია და შედეგები უნდა მივიღოთ.

***– რას მივიჩნევთ წარმატებად და იგივე მეზობლებიდან არ იყო პასუხი ურთიერთობის დარეგულირებისკენ.***

– ვთვლით, რომ ეს იყო ერთადერთი და სწორი გამოსავალი. 80-იანი წლების შემდეგ, 1980 და 1984 წლების ოლიმპიური თამაშების შემდეგ ბოიკოტირების ფორმა არსად ყოფილა. გარდა ამისა, მეც მივიღე მონაწილეობა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გავუზიარეთ, რაც ძალიან ცუდი მოსასმენი იყო რუსებისთვის, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ვაჭრობა, კულტურა და სპორტი მნიშვნელოვანია დარეგულირებისთვის.

***– რაგბზე არანაკლებ წარმატებულია კალათბურთი, მაგრამ რაიმე გარკვეული პროგრამა სპორტის ამ სახეობისთვის ჯერ არ ჩანს.***

– საქმე ის არის, რომ რაგბიში 6 წლის წინ 900-1.000 ადამიანი იყო დაკავებული, ამჟამად ეს რიცხვი 7-8 ათასამდე გაიზარდა. გარდა ამისა, საუბარი 6 ერის ტურნირის რეკონსტრუქციაზე და ჩვენი იქ მიღებაზე. ასევე ევროტურნირებთან დაკავშირებით. სწორედ ამ კუთხით მიდის მუშაობა და ადგილობრივ კადრებს გვინდა მიექცეს მეტი ყურადღება.

რაც შეეხება კალათბურთს, ამ ეტაპზე საძირკველი არ არის და ამ კუთხით მუშაობა საჭიროა. როგორც ვიცი, უახლოეს პერიოდში ფიბადან ჩამოდიან ექსპერტები, რომლებიც იმუშავებენ. ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ ჩემპიონატს, რომელსაც ამჯერად ძალიან უჭირს, უნდა შეიცვალოს სისტემა და სტრუქტურა უნდა ჩამოყალიბდეს. ყოველ წელს იშლება გუნდები, ამჯერად დაშლის პირას არის „სოხუმი“, რომელიც კერძო მფლობელობაშია. ასევე მახინჯი ფორმაა სპორტის სამინისტროსთან არსებული საკალათბურთო კლუბი „ოლიმპი“, მაგრამ ვერ ვიშორებთ, რადგან ეს ისევ კალათბურთს დააზიანებს.

***– ძიუდოსთან დაკავშირებით კონკრეტულად რა ხდება?***

– ამჟამად გადართულები ვართ 2015 წლის ოლიმპიადაზე და ძიუდოზე ფიქრი ცოტა ხნით გადავდეთ. გარდა ამისა, 2015 წლის გრან პრის ტურნირზე თუ ოლიმპიადისთვის საჭირო ლიცენზიები გავეცით, ეს დააჩქარებს ახალი დარბაზის აშენებას. ასე გავყვებით ჭიდაობის სხვა სახეობებსაც.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## საქართველოს თასის ახალი ფორმატი

ხვალ, კალათბურთში საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალები გაიმართება. აღნიშნული ტურნირი წლეულს პირველად განსხვავებული ფორმატით ტარდება. თუკი აქამდე თასის მეოთხედფინალები და ნახევარფინალები ერთმატჩიანი იყო, ახლა გამარჯვებული 2-მატჩიანი სერიით ვლინდება. ამასთან ერთად, საპლეიოფო რაუნდებს შორის ხანგრძლივი პერიოდია.

თასის გათამაშების ნახევარფინალისტები 22-23 იანვარს გამოვლინდნენ და შემდეგნაირად დაწყვილდნენ: არმია-ქუთაისი და დინამო-სოხუმი. პირველი მატჩები 27 თებერვალს ჩატარდება, საპასუხო კი – 1 მარტს. თბილისში გასამართ შეხვედრებს საკალათბურთო აკადემიის დარბაზი უმასპინძლებს, ხოლო ერთადერთი რეგიონის გუნდი საშინაო მატჩს ქუთაისში გამართავს.

ნახევარფინალურ სერიებში გამარჯვებული 2 მატჩის ჯამში გამოვლინდება. დებულების თანახმად, დაშვებულია თამაშის ფრედ დასრულება – მხედველობაში მხოლოდ 2 მატჩის ჯამში ჩაგდებული ქულები მიიღება. თუკი 2 შეხვედრის ჯამში ჩაგდებული ბურთები აღმოჩნდება თანაბარი, იმ შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი დრო საუკეთესოს გამოსავლენად.

ფინალი ერთმატჩიანია და იგი 29 მარტს გაიმართება.

# მარინე მიზანდარი: მოვითხოვთ გამჭვირვალობას!“

ეკა ირემაშვილი



**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე მარინე მიზანდარი მიმართავს ხელისუფლებას, რომ ჩააყენონ ქართველი საზოგადოება საქმის კურსში და საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებით ინფორმაცია გამჭვირვალე გახადონ.**

**ამ საკითხთან დაკავშირებით მარინე მიზანდარმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც იურისტი სულხან სალაძე და ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი გიორგი მინდიაშვილი ესწრებოდნენ.**

**მარინე მიზანდარი:**

– ჩვენი მოთხოვნა უკავშირდება გამჭვირვალობას. ბოლო დროს დიდი მითქმა-მოთქმა და სჯაბაასი იყო საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის ირგვლივ, მაგრამ დღემდე დიდი ნაწილი ინფორმაციისა, რომელიც ამ ობიექტს ეხება, არის საზოგადოებისთვის უცნობი. ნამდვილად დადგა ის მომენტი, როდესაც ჩვენ, ქართულ საზოგადოებას, რომელსაც გვეკუთვნის ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა, მეტი ვიცოდეთ იმ ადმინისტრაციული პროცესის შესახებ, რომელიც წარმოებს ერთი მხრივ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობის კანცელარიაში. ჩვენ ვისურვებდით, რომ მასმედიის დახმარებით მიგვეღწია სრული გამჭვირვალობისა და საჯაროობისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ძალიან მძიმე და რთული სიტუაციაა ამ მხრივ, რაც იმას გულისხმობს, რომ ჩვენს არქეოლოგიურ მემკვიდრეობას ემუქრება საფრთხე.

***– უფრო კონკრეტულად?***

– ჩვენ ვითხოვთ ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის გამოქვეყნებას. 27 იანვარს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიულ და მეთოდოლოგიურ სექციას წარედგინა განსახილველად საყდრისი-ყაჩაღიანის დოკუმენტაცია, რომელიც ბატონმა გიორგი მინდიაშვილმა შემოიტანა განაცხადის სახით მანამდე სამინისტროში და ერთხმად იყო მიღებული დადებითი გადაწყვეტილება ძეგლის სტატუსის დაუყოვნებლივ მინიჭების შესახებ. დღემდე ძეგლის სტატუსი არ მინიჭებია ამ ობიექტს, მინისტრს, როგორც ჩანს, არ მოუწერია ხელი ბრძანებაზე, რომელიც მის მაგიდაზე იდო გამზადებული და დღემდე ეს საკითხი ღიად არის.

მეორე თემა, რომელიც ასევე ითხოვს დაუყოვნებლივ გამჭვირვალობას, არის „არემჯი გოლდის“ მიერ მთავრობის კანცელარიაში შეტანილი საჩივარი სამინისტროს მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნის თაობაზე სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით. ეს დასკვნა დაიდო იმ არქეოლოგიური ანგარიშების საფუძველზე, რომელიც წარედგინა სამინისტროს და ის იყო სრულიად არასრულფასოვანი, შესაბამისად, სამინისტრომ მიიჩნია, რომ არქეოლოგიური ობიექტის შესწავლის პროცესი არ არის დამთავრებული და მას გაგრძელება სჭირდება. ამის თაობაზეც მოკლებულია საზოგადოება ინფორმაციას, მითქმა-მოთქმა კი არის, მაგრამ რეალურად ჩვენ არ ვიცით, რა სტადიაზეა ამ საჩივრის განხილვის საკითხი. ვიცით, რომ შედგა ორი ზეპირი მოსმენა მხოლოდ იურისტების თანდასწრებით. შინაარსობრივ ასპექტს არ ჩაღრმავებია არავინ, არადა, უარყოფითი დასკვნა გაცემულ იქნა სწორედ შინაარსობრივი გაუმართაობის საფუძველზე, რადგან თვითონ არქეოლოგიური ექსპედიცია ვერ იყო სრულყოფილი და ვერ ჩაატარა ის სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებდა ამ ობიექტის სრულად შესწავლას და ამაზეც ვითხოვთ ინფორმაციას, თუ რა მსვლელობას მისცემს მთავრობის კანცელარია „არემჯი გოლდის“ მიერ შეტანილ საჩივარს.

მესამე საკითხი კი არის საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის მონიტორინგი. საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა გახდეს, 7 იანვრიდან მოყოლებული დღემდე, როცა ჟურნალისტების დამსახურებით შევიტყვეთ, რომ მიწის მძიმე სამუშაოები იყო დაწყებული ამ ობიექტის ირგვლივ, „არემჯი გოლდის“ მიერ, 8-შივე გაიგზავნა მონიტორინგის ჯგუფი ადგილზე შესასწავლად, მაგრამ მათ ობიექტზე წვდომის უფლება არ მიეცათ. მას შემდეგ კიდევ ორჯერ იყო ადგილზე ჩასული მონიტორინგის ჯგუფი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა ამ ადგილის დათვალიერება. ჩვენი ინფორმაციით, მონიტორინგი დღემდე არ ჩატარებულა და საზოგადოებამ უნდა იცოდეს რა მოიმოქმედა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, რათა თავისი უპირველესი მოვალეობა შეესრულებინა სახელმწიფოსა და თავისი მოქალაქეების წინაშე. საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტს საფრთხე ემუქრება იქვე არსებული საწარმოს მხრიდან.

**გიორგი მინდიაშვილი, ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი:**

– საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროს იმ მიზეზით გაუუქმდა ეს სტატუსი, რომ არ იყო დაცული პროცედურები მისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭებისა. სწორედ ამასთან დაკავშირებით, რომ ეს ხარვეზი გამოგვესწორებინა და კულტურის სამინისტროს ჰქონოდა შანსი, მიენიჭებინა ისევ ძეგლის სტატუსი, ჩემი ინიციატივით შევკრიბე საბუთები. ეს საბუთები საერთოა ჩვენთვის, რადგან ამ ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი გახლავართ, სრულყოფილად მოვამზადე ყველაფერი და დანართებთან ერთად, უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის, დანართები ფოტოებით არის შევსებული, ტექსტური განმარტება არის შედარებით ვრცელი, უკანასკნელი ინფორმაციის დართვით, რომელიც 2013 წელს შესრულებული სამუშაოების შედეგად გახდა ცნობილი.

***– რა გახდა ცნობილი?***

– ამის შედეგად გამოვლინდა ორი ახალი ჩასასვლელი მაღაროსი. სამწუხაროდ, როგორც გაირკვა, ეს ორი ჩასასვლელიც 2014 წლის შობა დღეს „არემჯი გოლდ“-მა დაანგრია დანარჩენ იმ ფენებთან, რომელიც ასევე იყო პირველი ჩასასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე, ის პირველი ჩასასვლელი მთლიანად მიწით იქნა ამოვსებული. ჩვენ ეს ფოტოები არ დაგვირთია, რადგან არ გაგვაჩნდა საშუალება მივსულიყავით და ადგილზე გადაგვეღო, ამიტომ მას დართული აქვს შარშანდელი ფოტო ძეგლისა, ვიდრე „არემჯი გოლდი“ იქ უნებართვო სამუშაოებს კანონდარღვევით ჩაატარებდა. საბუთები მომზადებულია ჩვენი მოთხოვნების მიხედვით, შევსებულია სააღრიცხვო ბარათი, რომელიც შემდგომში გაგრძელების შემთხვევაში შეიძენს პასპორტის სტატუსს, შეიძლება, გარკვეული დაზუსტებები მოხდეს იმ ტერიტორიის მიმართ, რომელიც ჩვენ მიერ არის შემოხაზული, როგორც ძეგლის ტერიტორია. ეს მსჯელობის საგანია, თუ რამდენად შეიძლება შემცირდეს იმისთვის, რომ „არემჯი გოლდს“ მიეცეს ალტერნატიული საშუალება, გააგრძელოს თავისი საქმიანობა, მაგრამ ეს ჯერჯერობით არ განიხილება, რადგან „არემჯი გოლდი“ მაინც კატეგორიულად მოითხოვს ძეგლის დანგრევას.

**სულხან სალაძე, იურისტი:**

– საყდრისთან დაკავშირებით გამოთხოვილი გვაქვს დოკუმენტაცია სამი უწყებიდან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან, კულტურის სამინისტროდან და მთავრობიდან. ორი უწყებიდან დოკუმენტები უკვე მიღებული გვაქვს, მთავრობისგან ველოდებით დოკუმენტაციას, შემდეგ მოვახდენთ ანალიზს და საზოგადოებისთვის ყველაზე მისაღები ფორმით მოხდება ამ დოკუმენტების გასაჯაროება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რეალურად 8 იანვარს იქნა წარდგენილი კულტურის სამინისტროში დოკუმენტი, რომელიც ითხოვდა საყდრისი- ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭებას. კანონმდებლობის მიხედვით ერთი თვის ვადა აქვს სამინისტროს, რომ მიიღოს გადაწყვეტილება, შესაბამისად 8 თებერვალი იყო ვადა, რომ მიღებულიყო ბრძანება მინისტრის მიერ სამინისტროში იმასთან დაკავშირებით, მიანიჭებდა თუ არა ამ ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს უკვე დარღვეულია ეს ვადა და ყოველი დღე არის ამ ვადის დარღვევა სამინისტროს მხრიდან, ჩვენთვის ცნობილია, რომ გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე არ მიღებულა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საბჭოს წარდგინება, სრული თანხმობა იმისთვის, რომ საყდრისი-ყაჩაღიანს მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ამ კითხვაზე პასუხი აუცილებლად უნდა გასცეს სამინისტრომ.

მეორე ასევე მნიშვნელოვანი საკითხია მთავრობის კანცელარიაში წარდგენილი საჩივარი, რომელიც დაკავშირებულია „არემჯი გოლდის“ მიერ იმ გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან, რომლის საფუძველზეც მათ არ მიეცათ უფლება არქეოლოგიურ ობიექტზე შემდგომი სამუშაოების განხორციელებისა. როცა არსებობს მომატებული საზოგადოებრივი ინტერესი, მთავრობამ უნდა გაავრცელოს განცხადება და უნდა უთხრას საზოგადოებას, რასთან გვაქვს საქმე, რა ეტაპზეა საჩივრის განხილვა და მიღებულია თუ არა რამე გადაწყვეტილება. შესაძლებელია მოხდეს ისეც, რომ პოსტფაქტუმ გავიგოთ ჩვენ უკვე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და ის გახდეს საპირწონე იმისთვის, რომ რომელიმე მხარემ, ამ შემთხვევაში, ალბათ საყდრისი ყაჩაღიანისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მინიჭებისთვის მომხრე მხარემ სერიოზული ზარალი მიიღოს ამ გადაწყვეტილებით.

რაც შეეხება სარჩელთან დაკავშირებულ საკითხებს, საიამ უკვე მოამზადა სარჩელი, დარჩენილია რამდენიმე დეტალი, რომელსაც შევათანხმებთ ქალბატონ მარინე მიზანდართან და უახლოეს მომავალში სარჩელი იქნება წარდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოში.

***– რას ასაჩივრებთ?***

– საჩივრდება არა მარტო ის გადაწყვეტილება, რომლითაც მოხდა მარინე მიზანდარის გათავისუფლება, რომელიც აბსოლუტურად დაუსაბუთებელი და უკანონოა, ასევე გასაჩივრებულია სხვა ორი თანმდევი დოკუმენტი, რომელიც თან ახლდა წინა პერიოდში ამ გადაწყვეტილების მიღებას. აუცილებელია, სრული სურათი წარმოვადგინოთ, რასთან გვქონდა საქმე.

***– ვინ იქნება მოპასუხე?***

– მოპასუხე იქნება როგორც კულტურის სამინისტრო, ასევე პრემიერ-მინისტრი. იქ ბათილად ცნობასთან დაკავშირებით არის დაყენებული სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც პირდაპირ კულტურის სამინისტროს ეხება.

## ევროპარლამენტი მოლდაველისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე იმსჯელებს

ამ კვირაში, ევროპარლამენტის სესია სტრასბურგში მოლდაველის მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის გაუქმების საკითხზე იმსჯელებს. აღნიშნული საკითხის კენჭისყრაზე დაყენება ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლებების, იუსტიციისა და შიდა საქმეების კომიტეტების ინიცირებით იგეგმება.

მანამდე მოლდაველის მოქალაქეებისათვის ვიზების გაუქმებას მხარი დაუჭირა ევროკომისიამ. ევროპარლამენტის დეპუტატები ვარაუდობენ, რომ შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის უფლება მოლდავეთის მოქალაქეებს უკვე მაისში ან ივნისში ექნებათ.

შეგახსენებთ, რომ ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლების, მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების კომიტეტმა მხარი დაუჭირა მოლდოვასთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებას შენგენის ზონის ქვეყნებში.

გავრცელებული ინფორმაციით, მოლდოვასთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებას ევროპარლამენტის 45-მა დეპუტატმა მხარი დაუჭირა ორის წინააღმდეგ.

„ევროპარლამენტარებს შორის ფართო კონსესუსია იმასთან დაკავშირებით, რომ მოლდოვას ძალისხმევა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის საჭირო რეფორმების გასატარებლად, იმსახურებს უვიზო რეჟიმს“, – განაცხადა ევროპარლამენტარმა მარიან-ჟან მარინესკუმ.

ამასთან, მარინესკუს განცხადებით, მოლდოვას მოქალაქეებს შენგენის ზონაში უვიზოდ მოგზაურობა ყველაზე გვიან მაისის ბოლოდან ან ივნისის დასაწყისიდან შეეძლებათ.

მოლდოვასთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ განცხადება ნოემბერში, ვილნიუსის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის დროს გაკეთდა.

ცოტა ხნის წინ, ევროკომისიამ ასევე გამოაქვეყნა მესამე ანგარიში უკრაინასთან დაკავშირებით, სადაც ნათქვამია, რომ მართალია, ქვეყანამ „მნიშვნელოვან პროგრესს“ მიაღწია, მაგრამ ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა კვლავ დასაკმაყოფილებელია. მათ შორის ისინი, რომლებიც უკავშირდება ბიომეტრიული პასპორტების გაცემის სამართლებრივ ჩარჩოს, ანტიკორუფციულ ღონისძიებებს, თავშესაფარს და ანტი-დისკრიმინაციული საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერებას.

გ. ქ.

## ოპერის სამხატვრო საბჭოს არჩევნებში დარღვევებია?

ეკა ირემაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაციამ „თანასწორობა სამართლიანობისთვის“ შეისწავლა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში სამხატვრო საბჭოს არჩევნების ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები და საარჩევნო პროცესის კანონიერება და დადო დასკვნა, რომელშიც წერია, რომ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში ჩატარებული სამხატვრო საბჭოს არჩევნები არ აკმაყოფილებდა თავისუფალი და კანონიერი არჩევნების მინიმალურ სტანდარტსაც კი.

ორგანიზაციის იურისტებმა დეტალურად შეისწავლეს არჩევნების მარეგულირებელი ადმინისტრაციული აქტები და კენჭისყრის პროცესი და გამოავლინეს უაღრესად მნიშვნელოვანი დარღვევები, რაც კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის და ხელახალი კენჭისყრის დანიშვნის საფუძველია: არ არსებობს საარჩევნო პროცესის მარეგულირებელი წესი; საარჩევნო სიებში არ იყო შეყვანილი თეატრის დასისა და შემოქმედებითი კოლექტივის ყველა წევრი; საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ, ბეჭდური ფორმით მომზადებული საარჩევნო სიების მონაცემები შეცვლილია კალმით. რიგ შემთხვევაში კი ახალი ამომრჩევლებია ჩამატებული; შემაჯამებელ ოქმში დაუბალანსებელი მონაცემებია შეტანილი; ოქმებში არსებული მონაცემები ურთიერთსაწინააღმდეგოა, რაც ადასტურებს, რომ ადგილი ჰქონდა მონაცემების გაყალბებას.

ორგანიზაცია „თანასწორობა სამართლიანობისთვის“ წერილით მიმართავს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გურამ ოდიშარიას და აცხადებს, რომ აღმოჩენილი დარღვევები კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის საფუძველია. „თანასწორობა სამართლიანობისთვის“ მიიჩნევს, რომ თეატრის სამხატვრო საბჭოს ასარჩევად სამინისტრომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შექმნას მყარი სამართლებრივი საფუძველი, რისთვისაც უნდა მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებები: ბათილად ცნოს 2014 წლის 09-12 თებერვალს ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარებული თეატრის სამხატვრო საბჭოს არჩევნები; განსაზღვროს ხელახალი არჩევნების ჩატარების ვადები; შექმნას პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს თეატრის სამხატვრო საბჭოს არჩევნების დებულებას, რაც შექმნის არჩევნების კანონიერად და მიუკერძოებლად ჩატარების საფუძველს; თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრთა არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობისა და არჩევნებში მონაწილეობის თანასწორობის პრინციპების დარღვევის გამო, დააყენოს შესაბამისი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი; საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შეაჩეროს სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატების წარდგენის პროცესი.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში განმარტავენ, რომ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა არჩევნების დროს სამხატვრო საბჭოს წევრთა არჩევნების დებულებით იხელმძღვანელა და უხეში დარღვევები არ ყოფილა.

ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი რევაზ ჭეიშვილი კი განმარტავს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის წერილი გაუგებარია.

## hჰxცeჯxჰბ ,

**შვეულად**: 1. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 2. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. ბერძნული ცეკვა; 5. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 7. ისრაელის პარლამენტი; 9. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 13. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 15. ესტონეთის პრეზიდენტი; 16. სამურაების მეთაური; 18. სასვენი ნიშანი გრამატიკაში.



**თარაზულად**: 4, ნიჩბოსანთა სავარჯიშო ნავი; 6. წარწერა საფლავის ქვაზე; 8. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი დოკუმენტი; 10. კუთხე საქართველოში; 11. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 12. განუხორციელებელი ოცნება; 14. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 17. იაპონური აბანო; 19. დიდი სიცხე; 20. სახელმწიფო ევროპაში; 21. ძვირფასი ლითონი; 22. ზემდგომი ორგანოების სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულება აუცილებელია; 23. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმeც.ყც,ებბ hჰxცeჯxჰლც,ბც გფცე[ც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. უჯრედი; 2. ცემი; 3. ტრიტიკალე; 4. ჰააგა; 5. ყიფიანი; 8. ლივრეა; 9. ბუტლეგერი; 12. ვადუცი; 14. ჩარექი; 16. უბისა.

**თარაზულად**: 1. უფლისციხე; 6. ერისთავი; 7. რეკლამა; 9. „ბენტლი“; 10. „იავა“; 11. არომატი; 13. მაჩვი; 15. კაკადუ; 17. გეიმერი; 18. კულუხი; 19. „აიაქსი“; 20. კარიერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. არკადია; 2. „მესაჯერო“; 3. გრანიტი; 5. ფაგოციტი; 7. „მარტელი“; 9. აქუბარდია; 13. სარბაზი; 15. ორფოლო; 16. იამოტო; 18. ატაშე.

**თარაზულად**: 4. გრინფისი; 6. გლეტჩერი; 8. მადაგასკარი; 10. შატაიძე; 11. უშტი; 12. კლიჩკო; 14. ბორტი; 17. „ბროლა“; 19. იამოტო; 20. ჟოეკვარა; 21. ალფა; 22. პოსეიდონი; 23. კეტჩერი.

# ყირიმი: ომი არ იქნება

პრეზიდენტი იანუკოვიჩი დაამხეს. ახლა მასზე ოფიციალურად ძებნაა გამოცხადებული. ჩაიშალა აგრეთვე პრორუსული სეპარატისტული ტალღის აგორების მცდელობა ოდესაში, დონეცკში, ხარკოვში. იქაურმა მოსახლეობამ სეპარატიზმს მხარი არ დაუჭირა. რუსეთს ერთადერთი ფორპოსტიღა დარჩა: ყირიმი.

– 25 თებერვალს სიმფეროპოლში რუსეთის დუმის დელეგაცია ჩავიდა. მას ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის წევრი სლუცკი უდგას სათავეში, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ბატონმა სლუცკიმ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მალე ყირიმში რუსული პასპორტების მასობრივი გაცემა დაიწყება.

### ავანტიურული გეგმა

– სამწუხაროდ, ზოგიერთი ექსპერტი დღესაც ფიქრობს, რომ თითქოს რუსეთს უკრაინის „საბაჟო კავშირში“ შეთრევა სურდა. ეს ასე არაა. პუტინს თავიდანვე ესმოდა, რომ უკრაინა ამას არ დათანხმდებოდა. კრემლიც უკრაინის დაშლას შეეცადა, – თვლის მემარჯვენე სექტორის ლიდერი დმიტრო იაროში.

ამ მოსაზრებას სხვა უკრაინელი პოლიტიკოსები თუ ექსპერტები ეთანხმებიან. მათი აზრით, კიევში სისხლის ღვრა რუსული სპეცსამსახურების მიერაა ორგანიზებული. სქემა მარტივი იყო: იანუკოვიჩს მაიდანი უნდა დაერბია და საგანგებო მდგომარეობა შემოეღო, დასავლეთ უკრაინა ამას არ დაეთანხმებოდა, გალიჩინის ჩამოშორებით უკრაინის დაშლის პროცესიც დაიწყებოდა.

– კრემლში დღესაც ფიქრობენ, რომ უკრაინული პატრიოტიზმის ძირითადი კერა დასავლეთი უკრაინაა და, თუკი გალიჩინის „ამპუტაცია“ მოხდება, ამით მოსკოვს უკრაინაზე კონტროლის აღდგენა გაუადვილდება, – თვლის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

დასავლეთი უკრაინის გამოყოფის შემდეგ უნდა მომხდარიყო ყირიმისა და მთელი უკრაინის სამხრეთი რეგიონის (ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი) უკრაინისაგან გამოყოფაც. დნესტრისპირეთთან ერთად ისინი ე.წ. „ნოვოროსიის გუბერნიის სტატუსით რუსეთს უნდა შეერთებოდნენ.

– ნოვოროსიის გუბერნია ჯერ კიდევ ცარიზმის დროს არსებობდა. მასში როგორც ყირიმი და დნესტრისპირეთი, ასევე ოდესა, ხერსონი და ნიკოლაევიც შედიოდნენ. ასე რომ, მისი აღდგენა ისტორიული სამართლიანობაა, – „ბრძნულად“ ასკვნის ვლადიმირ ჟირინოვსკი.

რაც შეეხება უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონს (ხარკოვი, დონეცკი, ზაპოროჟიე, დნეპროპეტროვსკი), აქ „მეორე უკრაინული რესპუბლიკა“ უნდა შექმნილიყო. მისი დედაქალაქი ხარკოვი იქნებოდა, სახელმწიფო ენა კი – რუსული.

– აქ დამყარდებოდა ისეთივე რეჟიმი, როგორც ბელორუსში, – თვლის პორტნიკოვი.

ბევრი ექსპერტი უკრაინაში განვითარებული პროცესებით შეშფოთებული იყო. რუსეთი თავისი მიზნების განხორციელებისათვის გააფთრებული იბრძოდა. პუტინმა 15 მილიარდი უყოყმანოდ გაიღო. სამწუხაროდ, დასავლეთს ასეთი შემართება ნამდვილად არ ეტყობოდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს უკრაინა ევროპისათვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა.

– დასავლეთს დღეს თავისი პრობლემები აქვს და უკრაინას ვერ დაეხმარება, თუმცა ყველანი უკრაინის გულშემატკივრები ვართ, – წერდა „ტაიმსი“.

გადამწყვეტი სიტყვა თქვა უკრაინელმა ხალხმა, რომელიც რუსულ ექსპანსიონიზმს შეეწინააღმდეგა. დონეცკის, ხარკოვის, ოდესის დნეპროპეტროვსკის მოსახლეობამ სეპარატიზმს მტკიცე „არა“ უთხრა. რჩებოდა ყირიმი. კრემლიც ნახევარკუნძულზე სეპარატისტული ტალღის აგორებას შეეცადა.

### პროვოკაციები

– კიევში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. კანონიერად არჩეული პრეზიდენტი დაამხეს. უკრაინის ახალი ხელისუფლების ლეგიტიმურობაც კითხვის ნიშნის ქვეშაა, – აღნიშნული განცხადება რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა გააკეთა.

ყირიმელი სეპარატისტები ამ სიტყვებს აღტაცებით შეხვდნენ. ადგილობრივი პარლამენტის სპიკერმა კონსტანტინოვმა განაცხადა, რომ პარლამენტი უკრაინაში განვითარებულ პროცესებზე იმსჯელებს და მათ პოლიტიკურ შეფასებასაც მისცემს. – ბენდერელებმა გადატრიალება მოახდინეს. ასეთ სახელმწიფოში ჩვენ არ ვიცხოვრებთ! – აღნიშნა ბატონმა სპიკერმა და დაამატა: ყირიმის მოსახლეობის უმრავლესობა რუსია და, შესაბამისად, დაცვასაც რუსეთისაგან მოველითო.

– პარლამენტი შეიმუშავებს სპეციალურ მიმართვას რუსეთის სახელმწიფო დუმისადმი, – აღნიშნა კონსტანტინოვმა.

პროვოკაციულ გამოსვლებს ყირიმის პარლამენტში უხვად ჰქონდა ადგილი. დეპუტატმა ცეკოვმა მოითხოვა, რათა პარლამენტს ე.წ. დამოუკიდებლობის აქტი მიეღო, შემდეგ კი რუსეთისათვის დახმარებისათვის მიემართა. სეპარატისტულ ტალღას გააფთრებით შეეწინააღმდეგნენ ნახევარკუნძულის ძირძველი მცხოვრებლები – თათრები.

– ყირიმის უკრაინისაგან მოწყვეტის ნებისმიერი მცდელობა აღკვეთილი იქნება, – განაცხადა ყირიმელ თათართა ლიდერმა რაფატ ჩუბაროვმა.

თათრებს მხარი რუსული მოსახლეობის ნაწილმა დაუჭირა. ისინი სევასტოპოლის ყოფილი მერის სერგეი კუნიცინის გარშემო დაირაზმნენ. ნახევარკუნძულზე ვითარება გამძაფრდა, წარმოიშვა შეტაკების რეალური საფრთხე.

– ქერჩში „რუსული ერთობის“ აქტივისტებმა მიტინგი მოაწყვეს, შემდეგ კი მერიისაკენ დაიძრნენ. დემონსტრანტებმა სცადეს, უკრაინული დროშა ჩამოეხსნათ, მის ნაცვლად კი რუსული ჩამოეკიდათ, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მილიცია ინციდენტში არ ჩაერია. ექსტრემისტებს ისევ ქალაქის მერი, ყირიმელ თათართა ჯგუფი, ქერჩში მცხოვრები უკრაინელი პატრიოტები და კინიცინის მომხრეები დაუპირისპირდნენ. გაიმართა ჩხუბი. საკმაო შეხლაშემოხლის შემდეგ სეპარატისტებს უკრაინული დროშა გამოსტაცეს და თავის ადგილას დაკიდეს.

რამდენიმე შეტაკება სიმფეროპოლშიც მოხდა. სევასტოპოლში მერიასთან მრავალათასიანი მიტინგი შეიკრიბა. მათ ხელთ რუსეთის დროშები ეპყრათ და სკანდირებდნენ „რუსეთი! რუსეთი!“ მომიტინგეებმა მერიის შტურმით აღება სცადეს, მაგრამ ამაოდ. იერიში მოგერიებულ იქნა.

– ამრიგად, ექსტრემისტებს საკადრისი პასუხი გასცეს. მიუხედავად ამისა, ისინი ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებდნენ, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მართლაც, ყირიმში გავრცელდა ხმები, თითქოს დასავლეთ უკრაინიდან ყირიმისაკენ ბოევიკთა დიდი ჯგუფი მიემართებოდა. „რუსული ერთობის“ წარმომადგენლებმაც ხალხს მოუწოდეს, „სახალხო ლაშქარში“ ჩაწერილიყვნენ:

– გამოდით ყველანი, ვისაც კი იარაღის ხმარება შეგიძლიათ! წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანდიტები სახლებში შემოგიცვივდებიან! – აღნიშნული მოწოდებები ადგილობრივი ტელევიზიით გაკეთდა.

„სახალხო ლაშქრის“ ჩამოყალიბება მართლაც დაიწყო. მიუხედავად ამისა, ყირიმელი თათრები, კუნიცინის მომხრეები და უკრაინელი პატრიოტები უკან დახევას არ აპირებდნენ. სეპარატისტების პროვოკაციებსაც საკადრისი პასუხი გაეცა.

### კრემლი უკან იხევს

კიევში განვითარებულმა პროცესებმა რუსები შოკში ჩააგდო. მართალია, ახალი მთავრობის ფორმირება გაჭიანურდა, მაგრამ სპიკერი ძალიან სწრაფად აირჩიეს. ეს პოსტი იულია ტიმოშენკოს თანამებრძოლმა ტურჩინოვმა დაიკავა. მან ხმების კონსტიტუციური უმრავლესობა მიიღო (300-ზე მეტი). პარლამენტმა ტურჩინოვს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებაც დააკისრა. დასავლეთის პოზიცია ცალსახა იყო. ახალი უკრაინული ხელისუფლება ლეგიტიმურია!

– კიევში არა გადატრიალება, არამედ სახალხო აჯანყება მოხდა! როდესაც მილიონები ქუჩაში გამოდიან, ეს უკვე აჯანყებაა! – განაცხადა ქეთრინ ეშტონმა.

არანაკლებ მოულოდნელობა იყო ის, რომ ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები ძალიან სწრაფად დაინიშნნენ. თანახმად აღდგენილი 2004 წლის კონსტიტუ-



ციისა, შინაგან საქმეთა მინისტრს პარლამენტი ნიშნავს, უშიშროებისა და თავდაცვის მინისტრებს კი – პრეზიდენტი. იანუკოვიჩი გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა, შესაბამისად, ორი უმნიშვნელოვანესი ძალოვანი სტრუქტურაც, ფაქტობრივად, უპატრონოდ დარჩა. ძველი ხელმძღვანელები დაიმალნენ, ქვედა და საშუალო რგოლში კი აშკარად დაბნეულობა იგრძნობოდა. გამოსავალი მოიძებნა. უშიშროების სამსახურში დროებით წარმომადგენლად მისი ყოფილი უფროსი ვალენტინ ნალივაიჩენკო დაინიშნა, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა კი გენერალ ზამანას დაეკისრა. მალე უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელებმა გააკეთეს განცხადება, რომ სეპარატიზმის წინააღმდეგ მკაცრი ღონისძიებები განხორციელდება. კრემლმაც უკან დაიხია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა:

– ჩვენ უკრაინის შიდა საქმეებში არ ჩავერევით! ჩვენს ინტერესებშია, რათა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა შენარჩუნდეს და ქვეყანა ევროპული ოჯახის წევრი გახდეს.

ყირიმში ამან გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია. ადგილობრივმა პარლამენტმა გადაწყვიტა, სეპარატისტული ლოზუნგები მეორე პლანზე გადაედო, „რუსული ერთობის“ წევრები კი პარლამენტის წინ შეიკრიბნენ.

– რუსეთი! რუსეთი! – სკანდირებდნენ ისინი.

მიტინგები არც „რუსული დიდების ქალაქში“, სევასტოპოლში ცხრებოდა. მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი მერიის წინ კვლავ შეიკრიბა. ისინი მოითხოვდნენ, რათა სევასტოპოლის მერი რუსი ბიზნესმენი ჩალიი გამხდარიყო.

– სევასტოპოლი რუსეთია! – სკანდირებდნენ ისინი.

ქალაქში მყოფი უკრაინული სტრუქტურები საბრძოლო მზადყოფნაში იქნენ მოყვანილი. უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალები მზად იყვნენ, სეპარატისტებისათვის საკადრისი პასუხი გაეცათ. ცხადი გახდა, რომ ყირიმის უკრაინისაგან ჩამოშორებაც ომის გარეშე ვერ მოხერხდებოდა.

– რუსეთი დღეს ომისათვის მზად არ არის, – კონსტანტინე ზატულინმა ეს ძალზე უხალისოდ აღიარა.

კრემლმაც ამ ეტაპზე უკან დაიხია. „ჩვენ დაინტერესებულნი ვართ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით“, – აღნიშნული განცხადება ბატონმა ლავროვმა გააკეთა.

### ყირიმი – ეს მომავალი პრობლემაა

უკრაინელი ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მოცემულ ეტაპზე სეპარატიზმის საფრთხემ გადაიარა. რასაკვირველია, მიტინგები და პროვოკაციები იქნება, მაგრამ მასობრივი ტალღის აზვირთება უკვე შეუძლებელია.

– ცალსახად გამოჩნდა, რომ არავითარი აღმოსავლეთი და დასავლეთი უკრაინა არ არსებობს, არის ერთიანი ქვეყანა, რომელმაც ევროპული გეზი აირჩია და ეს ბრძოლაში დაიცვა, – თვლის უკრაინელი პოლიტოლოგი ტომენკო.

ექსპერტი ხაზს უსვამს იმას, რომ არც დონბასის, არც ხარკოვისა თუ ოდესის მოსახლეობამ სეპარატისტებს მხარი არ დაუჭირა.

– შესაძლოა, ამა თუ იმ საკითხზე მათ კიეველებისა თუ ლვოველებისაგან განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეთ, მაგრამ თავს ერთიანი უკრაინული სივრცის ნაწილად აღიქვამენ, – ამბობს ტომენკო. ის ხაზს უსვამს იმას, რომ სეპარატისტული ტალღის შეკავება ყირიმშიც მოხერხდა.

– მომავალში კრემლი აქცენტს სწორედ ყირიმზე გააკეთებს. რუსული სპეცსამსახურები აქ გააქტიურდებიან და საამისოდ მზად უნდა ვიყოთ, – თვლის ტომენკო.

ამ მოსაზრებას დასავლელი ექსპერტებიც ეთანხმებიან. „დოიჩე ველეს“ აზრით, რუსეთი ყირიმის მიტაცებას მომავალში აუცილებლად შეეცდება, თუმცა არსებულ ეტაპზე კრემლი აგრესიისაგან თავს შეიკავებს.

– რასაკვირველია, იქნება კუნთების თამაში, აგრესიული განცხადებები და ა.შ. მაგრამ აშკარა აგრესია არ განხორციელდება. უკრაინა საქართველო არაა. აქ აფხაზური ან სამხრეთოსური სცენარის განხორციელებაც ფრიად პრობლემური იქნება, ამიტომაც დღეს პუტინი ომისაგან თავს შეიკავებს, – თვლის „დოიჩე ველე“.

ყველა ანალიტიკოსი (როგორც უკრაინული, ასევე დასავლელი) ერთსულოვანია ერთში: პუტინმა უკრაინაში დღეს მარცხი განიცადა, მაგრამ ის ყველაფერს გააკეთებს, რათა მომავალში რევანში აიღოს. მთავარი აქცენტიც ყირიმზე გაკეთდება.

– დღეს ომი არ იქნება, მაგრამ რა მოხდება ხვალ? ამის პროგნოზირება არავის შეუძლია, – წერს ვიტალი პორტნიკოვი.

**ნიკა თევზაძე**

## ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლგ,გ,ბ

### უსაყვარლესი შვილიშვილის გიორგი ბარაბაძის მოგონება



ჩემო გიო! შენ ამ თვეში ოცი წლის გახდებოდი და უმძიმეს გულისტკივილს განვიცდი, რომ 16 წლისას მოგისწრაფეს სიცოცხლე. აშკარად ჩანდა, რომ გენიოსად ყალიბდებოდი. სულ პატარამ ზეპირად შეისწავლე მრავალი ლექსი და პოემა, რომელთაც უშეცდომოდ გვიკითხავდი. ასევე, მცირე ასაკში გამოიჩინე დიდი ინტერესი უფლისა და მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი. მალე მოძღვარიც გაიჩინე და შეუერთდი აქტიურ ეკლესიურ მრევლს, გეცოდებოდა გაჭირვებული, ხელგამოწვდილი ადამიანები და შეძლებისდაგვარად, მათ მცირე გასამრჯელოთი ეხმარებოდი. საკონცერტო დარბაზებში მაყურებელს ხიბლავდი ცეცხლოვანი ცეკვებით, მიღწევები გქონდა სპორტშიც. არც ერთ საგანში „ფრიადზე“ დაბალი შეფასება არ მიგიღია; კონკურსებში ბრწყინვალე გამარჯვებებით დასაჩუქრებული იყავი ძვირადღირებული ნივთებითა და სიგელებით. შესანიშნავად ფლობდი რამდენიმე უცხო ენას. ახოვანი და მომხიბვლელი გარეგნობით იქცევდი გოგონათა ყურადღებას. მახსოვს, ძალიან განიცადე თანაკლასელის დაღუპვა, რომელსაც გულისტკივილით იგონებდი ხშირად. ამ დროს, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ანალოგიურ ბედს გვიმზადებდა ფორტუნა.

2010 წლის ზაფხულში, გიკუნა, როცა ჭიათურის ზონის სოფელ გეზრულში არდადეგებზე დედულეთში იყავი ჩასული, 17 ივლისს იქაური ნათესავის, ოლეგ შეყილაძის ეზოში, თანატოლებთან მყოფი, სველ ნიადაგზე ფეხის დაცურებით, მოულოდნელად შეეხე ბოძს, რომელზეც ეზოს მფლობელს მიმაგრებული ჰქონია მაღალი ძაბვის ჩამრაზი უსაფრთხოების დარღვევით, თანაც უნებართვოდ, რომელმაც შეიწირა შენი სიცოცხლე – გაცისკროვნებული დიდი იმედებით, ავადსახსენებელ შეყილაძეს კი ეყო თავხედობა, განეცხადებინა, რომ დაზარალებული ჩამრაზს თითქოსდა თვითმკვლელობის მიზნით შეეხო, რაც უბინძურეს სიცრუეს წარმოადგენდა და პროკურატურამაც უარყო მისი განაცხადი. გიო, შენი სამი წლის დაბადების დღეს მოგიძღვენი ლექსი და გამოვაქვეყნე კრებულში, რომლის ერთ-ერთ სტროფში ნათქვამია:

„... გულით გისურვებ სიცოცხლეს ხანგრძლივს,
გამოსულიყავ რჩეული ერის,
დიდებისაკენ აღმავალ მანძილს
ფარავდე გარჯით, წყალობით ღმერთის...“

ზემოხსენებულ პირთან ერთად ამ უბედურების თანამონაწილენი არიან ქვეყნის იმდროინდელი ხელისუფალნი, ელექტრო და თბოენერგიის, სემეკის, ჯანდაცვისა და ზოგიერთ სხვა დარგში დასაქმებული მოხელენი, რომელთაც მკაცრად მოეკითხებათ.

გიკუნა, ჩემო უნიჭიერესო და ყოველმხრივ შემკობილო ბიჭუნავ, უფალს ვთხოვ, მარადიულ ნეტარებაში გამყოფოს.

*შენი ბაბუა შოთა ბარაბაძე*

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, დამსახურებული პედაგოგი, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი, ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი, ჟურნალ „რიწის“ რედაქტორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, გიორგი შერვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

**გივი ბერაია**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლგ,გ,ბ ვზბქგ,ფ.ჯდგქლქგ7
რდზჰზსცუფჰლფ7!@–ლფყ!&ცფფსფჰლგ8

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 26 თებერვალი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 03.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ **"სამი მუშკეტერი"** **17.00** ტ/სერ. **"დეიდაშვილები"** **18.00** ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** **19.15** "ჩვენი ეზო" **21.00** ტ/სერ. ტ/სერ. **"კომანდორთა ციხე-სიმაგრე"** **22.00, 06.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **23.00** დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხეები" **23.40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **გალათასარაი – ჩელსი** (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" **01.40** მხ/ფ **"მკვლელი ნინძა"** **05.30** "ჩვენი ეზო" (გ/ჩვ)

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ზრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **14.00, 16.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **10.05** სერ **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ **"შურისმაძიებელი"** 8 სერ. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.03** სერ **"სიყვარულის დრო"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **00.00** მხ/ფ **"ქლოი"** (ჯ. მური" ლ. ნისონი) **01.50** მხ/ფ **"კონტროლი"** (მ. როდრიგესი) (ტიტ)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"დასასრული"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **00.30, 03.00** მხ/ფ (ტიტ.) **02.30** კურიერის დაიჯესტი

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ **"ელ სიდი"** II სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **12.50** მოკ/ფ **"პეიტარი"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "მულტიპლიკაციის თავგადასავალი საქართველოში" **15.55** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.20** კონცერტი -ლიანა ისაკაძე,ნიკა რაჭველი II ნაწ. **17.00** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"შეხვედრა მთაში"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები. **21.55** ფოტოგალერეა **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** ს ა ღ ა მ ო ს ლოცვა **23.15** მარხვის კარიბჭესთან (მამა არჩილ მინდიაშვილი) **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30, 14.00** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "სონიკ X" **9.15 სერიალი "ჩემი შვილები"** **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** გადაცემა "პულსი"(გამ.) **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება**

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 Tebervali

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1,7387 |
| ევრო | — 2,3831 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2,8982 |
| 100 რუსული რუბლი | — 4,8727 |




## fcnhjgjhjuyjpb 26 თებერვლისთვის

წარმატებული დღეა

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – თქვენი საქმე წინ მიდის, გახარებული ხართ. **ქალწული** – არ აყვეთ პროვოკაციას, დამშვიდდით. **სასწორი** – ჰარმონიული დღეა, შინაგანად კარგად ხართ. **ღრიანკალი** – ფული გაქვთ, ახალი სამსახურიც მოგწონთ. **მშვილდოსანი** – კარგად გააანალიზეთ მომხდარი, ბოდიშის მოხდა უნდა შეგეძლოთ. **თხის რქა** – ნურავის ენდობით, საკუთარ თავს დაეყრდენით. **მერწყული** – შინაგან სიმშვიდეს გრძნობთ, ეს დიდი გამარჯვებაა. **თევზები** – საღამო მშვენიერი იქნება, დასაჩუქრდებით.

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების გერმანული ფირმა; 2. ფრანგული ავტომობილი; 3. ქართველი მხატვარი ქალი; 4. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 5. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 8. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. რაიმეს ნაწილობრივი შეცვლა ან შესწორება; 12. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 14. მდინარე სვანეთში; 16. ავი-ანჩხლი დედაკაცი.

**თარაზულად**: 1. აეროპორტი კიევში; 6. პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდება; 7. საზეიმო სვლა, პროცესია; 9. ზღვისპირა კურორტი ოჩამჩირეს რაიონში; 10. ძველი ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 11. მონასტერი დუშეთის რაიონში; 13. მომღერალი მუსიკოსი შუა აზიაში; 15. საქართველოს დედოფალი მეთერთმეტე საუკუნეში, ბაგრატ მეექვსეს მეუღლე; 17. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 18. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 19. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 20. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# „მოხუცი ჯამბაზები“ დაბრუნდა

ეკა ირემაშვილი

რეჟისორ გოჩა კაპანაძის გახმაურებული სპექტაკლი „მოხუცი ჯამბაზები“ დაბრუნდა. რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე განახლებულ სპექტაკლს მსახიობები პირველ და ორ მარტს ითამაშებენ.

როგორც რეჟისორმა „ახალ თაობას“ განუცხადა, სპექტაკლი, რომელიც ყოველთვის ანშლაგებით მიდიოდა, გურამ საღარაძის გარდაცვალების შემდეგ რეპერტუარიდან მოიხსნა. რუსთაველის თეატრის გამორჩეული მსახიობი კი შარშან 17 თებერვალს გარდაიცვალა.

– თავდაპირველად სპექტაკლში რუსთაველის თეატრის ღვაწლმოსილი მსახიობები თამაშობდნენ. მათი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ კი სხვა მსახიობებით ვანაცვლებდით, – აღნიშნავს რეჟისორი.




გოჩა კაპანაძის ჩანაფიქრით, სპექტაკლში გურამ საღარაძე, მედეა ჩახავა, ზინაიდა კვერენჩხილაძე, კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მარინა კახიანი, მარინა ჯანაშია და კარლო საკანდელიძე იყვნენ დაკავებული, თუმცა კარლო საკანდელიძეს ავადმყოფობამ არ მისცა საშუალება, ამ სპექტაკლში მიეღო მონაწილეობა. მედეა ჩახავასა და ზინაიდა კვერენჩხილაძის გარდაცვალების შემდეგ სპექტაკლს შეემატნენ დარეჯან ხარშილაძე და მანანა გამცემლიძე.

გურამ საღარაძის გარდაცვალების შემდეგ რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რობერტ სტურუამ მიიჩნია, რომ სპექტაკლმა თავისი პეწი და ეშხი დაკარგა, ამიტომ „მოხუცი ჯამბაზები“ რეპერტუარიდან მოიხსნა.

ამჯერად სპექტაკლი განახლებული დადგმით იქნება წარმოდგენილი. სევდიან ორმოქმედებიან კომედიაში გურამ საღარაძე მსახიობმა თენგიზ გიორგაძემ შეცვალა. სპექტაკლისადმი მოლოდინი ისევ დიდია და მაყურებელმაც ბილეთები უკვე სრულად შეიძინა.

**გოჩა კაპანაძე, რეჟისორი:**

– ძალიან მიხარია, რომ „მოხუცი ჯამბაზები“ აღდგენილია.

***– ისევ რუსთაველის თეატრში ითამაშებთ?***

გაგრძელება მე-8 გვერდზე





მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი

**ფელიქს ლაპიცკი**



**ატარებს რეაბილიტაციას რთული მოტეხილობის შემდგომ მოძრაობის აღდგენით**

**ასწორებს:**

- აღნაგობის დარღვევას
- სქოლიოზს
- გულმკერდის დეფორმაციას
- „ქათმისებურ მკერდს“

**მკურნალობს:**

- ოსტეოქონდროზს (მარილებს)
- ზურგის არეში ტკივილებს
- რადიკულიტს
- უძილობას, ნევროზს
- თავბრუსხვევას



ტელ.: 232 47 38; მობ.: 595 63 92 94
E-mail: felix_lapitski@yahoo.com

**მარიამ ლაპიცკი**

გთავაზობთ ჩვილ ბავშვთა სამკურნალო მასაჟს

მობ.: 598 40 53 08